

ახალი ბანათლები

№18 (452) გამოდის 1998 წლიდან

მარადისობის პირისპირ

მებრძოლი თაობა და დაუდევარი პიროვნება ამქვეყნად მოდიან განახლების პაროლებით, ოცნების ნისლეულით, თითქოს მანამდე არც არავინ ყოფილა.

ასეთი ხმაური მალე ჩაივლის ხოლმე და მხოლოდ თითო-ორი სახელი თუ შერჩება ერის მეხსიერებას. მაგრამ სხვა იყო XX საუკუნის დასაწყისი, რღვევის წამი, როცა ნაციონალურმა აღმავლობამ ერთბაშად ფერი უცვალა სიტყვასა და აზროვნებას.

რადგანაც მრავალნი არიან ნოდებულ და მცირედნი რჩეულ, განგებამ განსაკუთრებული მისია დააკისრა ორ პიროვნებას – გალაკტიონ ტაბიძესა და კონსტანტინე გამსახურდიას. მათ იცხოვრეს უჩვეულოდ კომპარულ დროში, რაც სულთან შეჯახებით, გულის, გონებისა და ნერვების გავლით ხელოვნებად გარდაიხსნა.

თუ გალაკტიონ ტაბიძე არ ყოფილა იდეოლოგი და თეორეტიკოსი, კონსტანტინე გამსახურდიამ გაიზარა სიტყვის მისტერია და საქართველოს ტანჯული ბედი.

ახალი დროის ნერვულ პულსაციას ადრევე გრძობდნენ გრიგოლ რობაქიძე და „ცისფერყანწელები“. მათგან განსხვავებით კონსტანტინე გამსახურდიამ უარყო წმინდა ესთეტიკა და აბჯარასხმულ სპასალარად მოგვევლინა, რათა სიტყვა ლაშქარს გასძლიოდა და ცემული სამშობლოს აღსადგენად.

მოდერნიზმი მთელი თაობის გატაცება იყო – განსაკუთრებით რუსი და ფრანგი მე-სიტყვენი. კონსტანტინე გამსახურდიამ, ისევე როგორც გრიგოლ რობაქიძემ, „ღმერთთან მორკინე“ გერმანიას მიაპყრო მზერა და ექსპრესიონისტული სულით განიმსჭვალა. მაგრამ ხელოვნების ეს „ახალი აისი“, წარმოედგინა არა მხოლოდ როგორც სტილი, არამედ როგორც ეთიკა და რელიგია. იგი იქცა ღირებულებათა გადაფასების მთავარ პუნქტად. ექსპრესიონიზმი პანაცეა არ ყოფილა, ისევე როგორც დიონისო და ქრისტე და თავის მიერვე უარყოფილ სიმბოლიზმსაც დაესხა.

სიტყვის განახლება, ხელახალი განედლება მწერლისათვის იყო „ქართული სულის რენესანსი“, სტილისა და იდეების უნივერსალიზება, წმინდა ხელოვნების დაცვა, იმ უცხო სახელების პროპაგანდა, რომლებიც საუკუნეთა სიღრმეიდან ანათებდნენ, მაგრამ ქართლის მთებამდე ვერ მოედინათ.

ამიტომ ქადაგებდა ევროპიდან მობრუნებული ცაბუკი მისტიციზმს, მკითხველს აცნობდა გოეთესა და დანტეს, ნიცშესა და დოსტოევსკის, შპენგლერსა და უიტმენს, მათ ლანდებს ქართულ მიწაზე ასახლებდა; განიხილავდა რასისა და ენის პრობლემათა მოზაიკას, ინდურ ფილოსოფიას, ანტიკურ კულტურას, გეორგესა და რილკეს უჩვეულო პოეზიას, ფრანსისა და ჰამსუნის პროზას...

ხოლო ამ ინფორმაციის საფუძველი იყო ქართული ტრადიციები – ჰაგიოგრაფია და „ვეფხისტყაოსანი“, ილია ჭავჭავაძე და ვაჟაფშაველა. ებრძოდა უტილიტარულ განმანათლებლობას, რომელსაც დაკნინებისაკენ მიჰყავდა ესთეტიკური და ნაციონალური სული. ამიტომ გადაეხლართა ერთმანეთს ასე მტკიცეწეულად კულტურა და პოლიტიკა, რაც მისი ნაზრების განმსაზღვრელად იქცა, როგორც შინაგანი ძალის ძახილი.

სასონარკვეთილი, დამარცხებული სამშობლოსათვის ხელოვნება უნდა ყოფილიყო ალტერნატიული ქვეყანაც, სიტყვაში – ყოფიერების სახლში ქართული სულის შემნახველი და გადამრჩენი. ამიტომ გადმოისროლა მებრძოლი ლოზუნგები – „ღირებულებათა ხელმოწერე შეფასება“, „ქართული სულის რენესანსი“, „ქართული კულტურის დიქტატურა“, რადგან როცა ერთი ჰკარგავს პოლიტიკურ დამოუკიდებლობას, მან უნდა გაამძაფროს კულტურის ფრონტი, გადაარჩინოს სასი-



1893 წლის 15 მაისს დაიბადა კონსტანტინე გამსახურდია

ცოცხლო იდეები, მოამზადოს ასპარეზი ახალ ძალთა მოსაგლენად.

დისტანციის პათოსიც ამავე მიზანს ემორჩილებოდა, ოღონდ დისტანციას ხალხისაგან კი არ იცავდა, არამედ ასე იცილებდა ბოლშევიზმის დამთრგუნველ ძალას, რათა პეროიზმით, პათეტიკით, გამორული ცხოვრების კულტით გაემხნეებინა გულგატეხილი მოქალაქენი, აღედგინა თეთრცხენოსანი რესპუბლიკის დაცემით დაკარგული რწმენა და იმედი.

კონსტანტინე გამსახურდიას აზროვნებაზე რამდენიმე ფაქტორმა იქონია ძლიერი ზეგავლენა და ჩამოყალიბდა მწერლის თვალთახედვა. პირველი იყო „საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის“ დაარსება ევროპაში, რომლის წევრიც გახდა. მეორე – 1920 წლის იანვარში ჩასვლა მარადიულ რომში, რამაც მისი ინტერესი ხელოვნებისაკენ წარმართა. მეტყველი აქაც ფრიდრიხ ნიცშე იყო. მაგრამ მალე დაეშვა სამშობლოს სამფეოროვანი დროშა და კონსტანტინე გამსახურდია ისევ პოლიტიკამ გაიტაცა. საუბედუროდ, ახალი დრო არ სცნობდა ოპოზიციონერებს. ის მათ აპატიმრებდა და ხვრეტდა. ამიტომ იძულებული იყო ლიტერატურას შეფარებოდა, თავისი აზრი სიმბოლოებითა და ალეგორიებით შეემოსა, გამოეხსნა სიტყვის ფრთები, სიტყვა ექცია ნაციონალური ბრძოლის იარაღად.

ერთ ფოკუსში მოგროვდა საბედისწერო, გულისმომკვლელი თარიღები – 1907 წლის ტრაგედია, 25 თებერვლის კატასტროფა, სისხლიანი 29 აგვისტო. ყველა მათგანი იყო მამისმკვლელობა, მშობლიურის განადგურება, საზარელი დანაშაული, რაც არ მოსცილებდა ჩვენს ისტორიას, ისევე როგორც უახლესი სისხლისღერა. ბოლშევიკური ტირანიის ეპოქაში კონსტანტინე ჰგავდა კეთილშობილ დონკიხოტს, რომელიც ქარის ნისქვილებს ებრძოდა და მარტოსულ ჰამლეტს, ვისაც უძირო სევდა გულს უხრავდა.

კონსტანტინე გამსახურდიას ფანტაზიას, როგორც ტრაგიკული ბუნების ხელოვნებას, აღაგზნებდა ერის ცხოვრების საშიშელი წუ-

რით (სვეტიცხოველის და გელათის აშენება), ხოლო „ვაზის ყვავილობაში“ დანახული ჟამი არის შესვენების, ძალთა მოკრების პერიოდი, რათა დამარცხებული სამშობლო აღდგეს ფიზიკური და ინტელექტუალური შრომით, მომზადდეს მომავალი ბრძოლებისათვის, შექმნას საარსებო ბაზისი და წინსვლის პერსპექტივა, რადგან ისტორია ჩვენი დღეებით არ იხურება.

კოლეგებისა და ხელისუფლებისაგან არაერთგზის შერისხული სულს ითქვამდა თავის ოცნების სასახლეში. ბევრს ასეთი მოპყრობა კაცთმოძულედ აქცევდა, ცოცხალი რომც გადარჩენილიყო. მაგრამ კონსტანტინე გამსახურდიას სტრიქონებს მსგავსი განწყობილება არ დასტყობია, რადგან არც ხელისუფლება და არც დღევანდელი მოსახლეობა არ არის სამშობლოს ჯამი. მას მუდამ თვალწინ ედგა დამცრობილი და მწუხარე საქართველო, რომელიც კაემანს სიცილითა და ნითელი დროშების ფრიალით ფარავდა.

„მთვარის მოტაცება“ ავტორი სავესებით უნიკალური მოვლენაა ჩვენს ისტორიაში – ბიოგრაფიით, ერუდიციით, შემოქმედებით, გაუტყებელი სულით. ყოველ სფეროში, რასაც კი მისი კალამი გადასწვდა, შთამომავლობას დაუტოვა წარუვალი ღირებულებების ქმნილებანი –

- ლექსი,
- ნოველა,
- ესსე,
- თარგმანი,
- რომანი.

მაგრამ, პირველ ყოვლისა, ავტორია ოთხი დიდი ქართული რომანისა.

ამ წიგნებით დგება იგი მარადისობის პირისპირ.

რაც გავა დრო და ჟამი, კიდევ უფრო იმატებს მათი სხივთა ძალა, რადგან კონსტანტინე გამსახურდიას მიერ დაცული და ნაქადაგები რწმენა წიგნის ფურცლებიდან გადმოვიდა, მასებს დაეფულა და აზვირთებულ ქართველ ხალხს თავისუფლების გზაზე წარუძღვა, როგორც წყვილიდან თავდაღწეული ნათლის სვეტი.

სოსო სიგუა

პროფესორი,

სახელმწიფო პრემიის ლაურეატი

2009 წლის 20 მაისს, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში, პროექტ „ავტორის ხმის“ ფარგლებში, იხსნება შეხვედრა მწერალ რეზო ძიჭიშვილთან. დასაწყისი 13 საათზე.

კვირფასო მკითხველო!

ვაგრძელებთ რუბრიკას: „წარმოგიდგენთ კერძო სკოლას“. ჩვენ უკვე გავაცანით GLC-სკოლა, სკოლა-ლიცენზი „მწიგნობართუხუცესი“, თბილისის საერო სკოლა „ოლიმპი“. დღეს შემოგთავაზებთ ინფორმაციას ფილიპე გოგინაშვილის სახელობის კერძო სკოლის შესახებ. შეგახსენებთ, რომ მსურველებს საშუალება აქვთ, ჩვენი გაზეთის ვებგვერდზე www.axaliganatleba.ge

ამა თუ იმ სკოლისთვის ხმის მიცემით, გამოავლინონ მაღალი რეიტინგის მქონე სასწავლო დაწესებულება. ვთავაზობთ კერძო სკოლებს, საქართველოს მასშტაბით, მოგვანოდონ ინფორმაცია თავიანთ სასწავლებლებზე, 2009 წლის ნოემბრის ჩათვლით. ხმის მიცემა 2009 წლის 15 დეკემბერს შეწყდება, შედეგები შეჯამდება და სამი მაღალი რეიტინგის მქონე სკოლა რედაქციისგან „ახალი განათლების“ 2010 წლის ხელმოწერით დასაჩუქრდება.

თანამშრომლობა ახალ ფაზაში შევიდა

2009 წელს ხელი მოეწერა „აშშ-საქართველოს ქარტიას“, რომელიც, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის კონტაქტების გაღრმავების მიზნით, ხელს უწყობს კულტურულ და სოციალურ გაცვლასა და საქმიანობას. ამ ქარტიით განათლების სფეროში თანამშრომლობა ახალ ფაზაში შევიდა – 8 მაისს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა, ნიკა გვარამიამ და ამერიკის საბჭოების დირექტორმა საქართველოში ტიმოთი ბლაუელმა ურთიერთგაგების მემორანდუმს მოაწერეს ხელი.

FLEX-ის პროგრამის ფარგლებში, უკვე 17 წელია, საქართველოს სკოლებიდან შერჩეული 50 უფროსკლასელი, ერთ აკადემიურ წლით, მიემგზავრება ამერიკის შეერთებულ შტატებში სასწავლებლად. პროგრამა ყოველწლიურად ხორციელდება და მას ამერიკის მხარე სრულად აფინანსებს. ამერიკიდან, მემორანდუმის ფარგლებში, იმავე პირობებით, პროგრამის „საქართველოს უფროსკლასელ მოსწავლეთა გაცვლითი პროგრამა ამერიკის შეერთებულ შტატებში“ ფარგლებში, კიდევ 50 უფროსკლასელს ამერიკაში სწავ-

ლას საქართველოს მხარე დააფინანსებს. ამის შესახებ განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა, ნიკა გვარამიამ პირველმა აუწყა სამინისტროში შეკრებილ, ამერიკის მხარის მიერ შერჩეული, პირველი ასეულის მომდევნო 50 უფროსკლასელს და მათ მშობლებს. საქართველოს მთავრობის ამ გადაწყვეტილებაზე ინფორმაციას უემოციოდ არ ჩაუვლია. გამარჯვებულ მოსწავლეებს წარმატებები უსურვა მინისტრმა, ამერიკული საბჭოების დირექტორმა საქართველოში და აშშ განათლების, კულტურისა და პრესის



ატაშემ საქართველოში სინტია უიტლსმა.

ნიკა გვარამია, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი: „ამერიკის შეერთებულ შტატებთან სტრატეგიული პარტნიორობა განათლების პროგრამებსა და ითვალისწინებს. გადაწყვეტილი, ამ მიმართულებით, წელსვე, მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაგვდგა. ამერიკის მხარეს 100 მოსწავლე შეყავდა ფინანსიტად შერჩეული, აქედან 50 გადოდა დასკვნით ტურში და მიემგზავრებოდა ამერიკაში. მივიღეთ გადაწყვეტილება, საქართველოს მთავრობის დაფინანსებით, დარჩენილი 50 მოსწავლეს გაემგზავროს 1 წლით სასწავლებლად.“

თველოში: „საქართველოს უფროსკლასელ მოსწავლეთა გაცვლითი პროგრამა ამერიკის შეერთებულ შტატებში“ ძალიან მნიშვნელოვანი პროექტია. საქართველოს მთავრობა, დამატებით, დააფინანსებს 50 მოსწავლეს, რომლებიც 1-წლიან სასწავლო პროგრამას გაივლიან ამერიკის შეერთებულ შტატებში. ვფიქრობ, მათ საუკეთესო საშუალება ეძლევათ განათლების მისაღებად.“

სალომე მოისწრაფიშვილი, გამარჯვებული მოსწავლე: „ძალიან გამიხარდა, რომ გავედი. სწავლების ეს ერთი წელი ჩვენითვის ძალიან მნიშვნელოვანი იქნება. დიდ გამოცდილებას მივიღებთ, ამასთანავე, იქ მიღებული ცოდნა შემდგომში გამოვავალებთ.“

ტიმოთი ბლაუელი, ამერიკული საბჭოების დირექტორი საქარ-

მარინა ბენიძე



მე უკეთ ვიცი როგორ ჩემი უბნის წარსულს

სეიდაზადი, ნარიყალა, ხარფუხი და მეტეხი – ეს ჩვენი უბნის ისტორიაა

თბილისის №75 საჯარო სკოლის IV კლასის მოსწავლეებმა (პედაგოგი – მარინა ჯელაძე) ორიგინალური ვიქტორინა-კონკურსი – „ჩვენი უბნის წარსული და მისი ისტორიული ძეგლები“ – წარმოადგინეს. პირველ ტურში ოთხ გუნდად დაყოფილმა კლასმა სტუმრებს გუნდის სახელები გააცნო. გუნდები – „მეტეხი“, „სეიდაზადი“, „ხარფუხი“, „ნარიყალა“ – ერთმანეთს თავიანთი უბნის ისტორიის ცოდნაში შეეჯიბრნენ. ბლიც-კითხვებზე გაცემული პასუხებით მოსწავლეებმა გამოავლინეს იმ ისტორიულად მნიშვნელოვანი მოვლენების ცოდნა, რასაც ადგილი ჰქონდა ერეკლე მეფისდროინდელ საქართველოში, კერძოდ, ეს ტური „კონსტანტინის ბრძოლის“ ირგვლივ გაიმართა. „საქართველოს ისტორია“ – ამ ტურის მიზანი იყო, გუნდებს გამოეყენათ ცოდნა საქართველოსთვის თავდადებული გმირების შესახებ; სამშობლო რომ უმთავრესია – ამის შესახებ მოსწავლეებმა, ამავე სახელწოდებით მომზადებულ ტურში, ნიკოლოზ ბარათაშვილის პოემის – „ბედი ქართლისა“ მიხედვით იმსჯელეს; ბავშვებმა განსაკუთრებული აქტიურობა მათ უბანში განთავსებული ისტორიული ძეგლების შესახებ მომზადებულ ტურში გამოავლინეს. მეოთხეკლასელებმა ინფორმაცია ვიდეომასალის თანხლებით წარმოადგინეს; ისტორიულ თემაზე დაწერილი ლექსების კითხვისას ოთხივე გუნდმა გამოიჩინა თავი, საუკეთესო დეკლამატორიც სწორედ ამ ტურიდან შეირჩა. ღონისძიებაზე მოსწავლეებმა მხოლოდ ისტორიის ცოდნა არ გამოამჟღავნეს, ისინი ერთმანეთს მომზადების საერთო დონეშიც შეეჯიბრ-

ნენ, რაც ყველა საგნიდან დასმულ კითხვებზე პასუხების გაცემით შემოწმდა. ბოლო ტურში კი, საკმაოდ დატვირთული ინტელექტუალური ვიქტორინის შემდეგ, მეოთხეკლასელებმა ბედი „მხიარულ სტარტებშიც“ სცადეს. ყოველი ტურის შემდეგ მაყურებელი საგანგებოდ მომზადებულ მუსიკალურ ნომრებს უსმენდა. მარინა ჯელაძე, დაწყებითი სწავლების პედაგოგი, ღონისძიების ორგანიზატორი: „ჩვენი სკოლა ისეთ ისტორიულ უბანში მდებარეობს, რომ ეს იდეა ბუნებრივად გაჩნდა. როდესაც ჩვენი სკოლის მიმდებარე ბაღში მაჩაბლის მემორიალი გაიხსნა, თავად ბავშვებმა გამოხატეს სურვილი, დეტალურად შეესწავლათ უბნის ისტორია. ამ ღონისძიების მომზადებაში ჩემმა მოსწავლეებმა მართლაც ძალიან დიდი შრომა ჩადეს. ნაიკითხეს უამრავი ლიტერატურა, რომელიც მე მივუთითე და, რაც მთავარია, ამას ყველაფერს დიდი სიამოვნებითა და მონდომებით აკეთებდნენ. ღონისძიება დავყავით ეტაპებად, რომელთა მიხედვითაც შეეცადეთ, საუკეთესო მოსწავლეები და გუნდები გამოგვევლინა. როგორც ნახეთ, ისინი ერთიმეორეზე უკეთ გვიამბობდნენ ჩვენი კუთხის წარსულს, თითოეულ დეტალს, რომელიც საქართველოს ისტორიისთვის მეტად მნიშვნელოვანია. ერთგვარად მოეუწოდებ კიდევ სხვა სკოლების მოსწავლეებს, გაეჯიბრეთ ჩვენი სკოლის მეოთხეკლასელებს ქვეყნის ისტორიის ცოდნაში და მერწმუნეთ, ეს გაჯიბრება სასარგებლო და მართლაც ბევრის მომცემი აღმოჩნდება თითოეული თქვენგანისთვის, რადგან არც

ანმყო და არც მომავალი არაფრის მომცემია, თუ ჩვენი ქვეყნის წარსული არ გვეცოდინება. ამ ღონისძიების მიზანი სწორედ ეს იყო. თანაც, ერთგვარად შევჯავამეთ, თუ რა ცოდნა შეიძინეს მოსწავლეებმა ოთხი წლის განმავლობაში, დღევანდელი დღე იმ ცოდნის დემონსტრირება იყო, რომელიც ჩემმა მოსწავლეებმა დაწყებით საფეხურზე შეიძინეს. აქვე აღვნიშნავ, რომ ღონისძიების მომზადებაში დაგვეხმარა ინფორმაციის მასწავლებელი სოფიკო ლათიაშვილი და, ბუნებრივია, დირექციამაც შეგვიწყო ხელი. კონკურსში თითოეული მოსწავლის შესაძლებლობა გავითვალისწინე და მაქსიმალურად შევძელით ამ შესაძლებლობების დემონსტრირება, ნომინაციებიც სწორედ ამისდა მიხედვით გავანაწილეთ: ყველაზე ინტელექტუალური, ყველაზე ორგანიზებული, ყველაზე გონიერი, ყველაზე მუსიკალური, ყველაზე სპორტული, ყველაზე კარგი დეკლამატორი, ყველაზე ნიჭიერი და სხვ. ნომინაციის გარეშე არც ერთი მოსწავლე არ დარჩენილა. გვყავს ჟიურის და მაყურებლის სიმპათიის მოსწავლეებიც. დანარჩენის შეფასება კი თქვენთვის მომინდვია.“

შეფასებები, მართლაც, არ დაიშურეს ჟიურის წევრებმა და პედაგოგებმა. ლიანა ცინცაძე, ისტორიის მასწავლებელი: „ყოველთვის დარწმუნებული ვიყავი, რომ ქალბატონ მარინას მოსწავლეები, ისევე როგორც მის მიერ ჩატარებული ღონისძიებები, სამაგალითო იყო მთელი სკოლისთვის, დღეს ამაში ათმაგად დავრწმუნდი. მოსწავლეებმა თავიანთი შესაძლებლობის მაქსიმ-

უმად აჩვენეს და შედეგიც აღმაფრთოვანებელია. მაგალითია იმისა, თუ რა შეიძლება იცოდეს მეოთხეკლასელებმა მოსწავლემ როგორც პროგრამული, ისე არაპროგრამული მასალიდან, რაც, უდავოდ, პედაგოგის დამსახურებაა. მომავალ სასწავლო წელს სწორედ ამ კლასში შევიდვარ ისტორიის სასწავლებლად და კიდევ უფრო მეტად მიხარია, რომ ასეთი მომზადებული მოსწავლეები მეყოლებიან. დიდი მადლობა პედაგოგს და მის მოსწავლეებს დღევანდელი დღისათვის.“ დოლო ნიკოლაიშვილი, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე, ჟიურის წევრი: „აღფრთოვანებული ვარ პედაგოგის მიერ ჩატარებული მუშაობით, ზღვა მასალა იყო მოძიებული, მოსწავლეები კარგად იყვნენ მომზადებული. ასაკთან შედარებით, ისტორიული მასალები ისეთ მეცნიერულ დონეზე იყო შესწავლილი, სიმარტული გითხრათ, გამოიკვირდა. ღონისძიებას ორმაგი დატვირთვა ჰქონდა: ერთი, რომ ბავშვებმა ძალიან კარგად შეისწავლეს თავიანთი ქვეყნის ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მონაკვეთი და მეორე – ჩვენი სკოლა სამასი არაგველის ბაღში მდებარეობს და სასწავლებლის წარმოჩენა, როგორც ისტორიულ უბანში მდებარეობს, ყველასთვის მნიშვნელოვანია. არადა, რა სამწუხაროა, რომ ჩვენი სკოლა ყოველ სექტემბერს დახურვის საფრთხის წინაშე დგება – გვინევს ფიქრი იმაზე, სკოლის შენობა გაიყიდება თუ არა და მოგვეცემა თუ არა საშუალება, ჩვეულ რეჟიმში გავაგრძელოთ მუშაობა. დღევანდელი ღონისძიება იმის საუკეთესო

ლალი ჯელაძე

რას ფიქრობენ კელაბობები

სახელმძღვანელოების, პროფესიული გამოცდების და თორმეტწლიანი სწავლების შესახებ

კერძო სკოლა „ბისი“

ფიქრია ჩხარტიშვილი, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი: თორმეტწლიანი სწავლების აუცილებლობას ნამდვილად ვერ ვხედავ. ჩემი სავსე სპეციფიკიდან გამომდინარე, თუკი სკოლაში ნორმალურად იქნება დაყენებული ქართული ენისა და ლი-

ცოფა ჯგუფებად, მე მხოლოდ საბუნებისმეტყველო ჯგუფს ვასწავლი, ძირითადად, იმ ბავშვებს, რომლებიც სამედიცინო უნივერსიტეტში აბარებენ. მათთვის მეთორმეტე კლასი სასარგებლო გამოდგება. ამ შემთხვევაში, ჩვენ საშუალება გვაქვს, პროგრამით გათვალისწინებულ მასალას გავცდეთ და უფრო მეტი ვისწავლოთ. ფაქტობრივად, უკვე გავიარეთ საბიტურიენტო პროგრამა. ამ ერთი წლის გან-

ათქვლიან შეფასების სისტემაზე გადასვლა ამიტომ მოხდა. ამ მოსაზრებით თორმეტწლიანი სწავლება გამართლებულია, თუმცა კი, მას აუცილებლად უნდა ჰქონდეს სტატუსი, როგორც მოსამზადებელი ეტაპი მისაღები გამოცდებისთვის.

სახელმძღვანელო ფუნქცია უნდა იყოს, აბიტურიენტის დაინტერესება. აქ უნდა იყოს გასამეორებელი თემები, არ სცდებოდეს ეროვნული პროგრამის შინაარსს. მაგალითად, აქ არის ისეთი საკითხები, რომელიც ზედმეტად რთულია ჩვეულებრივი მოსწავლისთვის, ანუ ეს საკითხები სჭირდება იმ მოსწავლეს, ვინც სამეცნიერო კარიერისთვის ემზადება. მათემატიკის მასწავლებლებს XII კლასში სახელმძღვანელო ალტერნატივა, ფაქტობრივად, არც გვქონდა, ვასწავლით იმ სახელმძღვანელოთი, რომელიც შეგვთავაზეს. ვცდილობ, გაკვეთილის ძირითადი დრო დაუთმო იმ საკითხებს, რომლებიც შესულია მისაღები გამოცდის პროგრამაში. მაგრამ, ამასთანავე, აუცილებელია სასწავლო პროგრამაც გავიაროთ. ამიტომ იძულებული ვართ, სახელმძღვანელო მიხედვითაც ვასწავლოთ. თუმცა, სახელმძღვანელოში არის საკითხები, რომლებიც ძალიან აინტერესებთ ბავშვებს, მაგ. ალბათობის თეორია, კომბინატორიკა. ეს საკითხები წელს პირვე-

რატომ არის აუცილებელი XII კლასის არსებობა, მეც ვიზიარებ ამ მოსაზრებას. პრობლემა სხვა რამეშია – ესაა გაცდენები. სკოლა უნდა დაინტერესდეს ბავშვით, რომ მან იაროს სკოლაში. მართო ჩვენ ამას ვერ გავაკეთებთ. რაც შეეხება სახელმძღვანელოებს, თითქმის, ერთი და იგივე მეორდება IX, X, XI და XII კლასებში. ამიტომ მინდვს დამატებითი მასალის მოძიება, ლიტერატურის გაცნობა. სახელმძღვანელოში გრამატიკა მოცემულია ძალიან მარტივად და გასაგებად, ხოლო ლიტერატურა საერთოდ არ არის. სახელმძღვანელოს აქვს ალტერნატივა, მაგრამ მე არც ერთი არ მაქმყაფივებს. იქაც იგივე საკითხებია. აქედან გამომდინარე, მოსწავლეს რომელსაც გაცდებით მეტის შესწავლა უნდა, სახელმძღვანელო ამის შესაძლებლობას არ აძლევს. რა თქმა უნდა, ვცდილობ მას მივანდობ დამატებითი მასალა, მაგრამ საპროგრამო მასალასთან ერთად ამის გაკეთება ცოტა ძნელია. ეს ფაქტი უბიძგებს მოსწავლეს, რომ წავიკვლი რეპეტიტორთან და მუშავადოს მისაღები გამოცდების პროგრამის მიხედვით. ამ საკითხის მოგვარებას სერიოზულად უნდა მიხედვა, არა მგონია მხოლოდ ჩვენი მოსაზრებების გამოთქმამ საკითხი გადაწყვიტოს, მაგრამ ჩუმად ყოფნაც არ შეიძლება. ყველაზე ჭკვიანები არიან ბავშვები,

თუ გვინდა ევროკავშირში ინტეგრაცია, გუნებრივია, XII კლასი გამართლებულია.

ტერატურის სწავლება 11 წელი სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ მოსწავლე არა მარტო უმაღლესი განათლებისთვის მოემზადოს, არამედ ზოგადი ინტელექტიც შეიძინოს. ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მთავარი ამოცანაა, მოსწავლეს კითხვის უნარი ჩამოუყალიბდეს, რათა საფუძვლიანი განათლება მიიღოს. რაც შეეხება მეთორმეტე კლასის ქართულის სახელმძღვანელოს (ავტორები: თამაზ გასაძე, ნუგზარ მუზაშვილი და ნიკოლოზ ჩუბინიძე), კარგია და მისაღები იმ თვალსაზრისით, რომ საკმაოდ ინტელექტუალური კუთხითაა შედგენილი. განსაკუთრებით გამოყოფილი უცხოურ ლიტერატურას, რომელიც ბრწყინვალედ და შერჩეული. მაგრამ ამ ეტაპზე, მეთორმეტე კლასელთათვის ქართულის სახელმძღვანელო საკმაოდ რთული აღსაქმელი აღმოჩნდა. ეს განპირობებულია დაბალ კლასებსა და მაღალ კლასებს შორის არსებული მასალის აბსოლუტური განსხვავებულობით. თუკი მომავალში დაბალ კლასებში უფრო მაღალ დონეზე დავაყენებთ ლიტერატურის სწავლებას, ვფიქრობ, მეთორმეტე კლასში მოსწავლეები ადვილად შეძლებენ მოცემული მასალის ათვისებას. დაბალ კლასებს, რომლებსაც ვასწავლი და ბოლომდე გავყვები, თავიდანვე ვაჩვენებ, ქართული პროგრამის განხორციელებას, უცხოური ლიტერატურის კითხვას, მზად რომ იყვნენ მაღალ საფეხურზე არსებული სახელმძღვანელოს ასათვისებლად.

მაგლობაში პროგრამის განმეორებაც კი მოვასწავლი. ვფიქრობ, საბუნებისმეტყველო საგანში მეთორმეტე კლასმა გაამართლა, თუმცა, ზოგადად მიმაჩნია, რომ თეთრთმეტწლიანი სწავლება სრულიად საკმარისია.

სათუნა ჯაბუა, ინგლისური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი: მოგეხსენებათ, საჯარო სკოლებში ინგლისური ენა ბუკია-ჩიბურდანიძის სახელმძღვანელოთი ისწავლება. ვინაიდან კერძო სკოლა ვართ, მშობლების მოთხოვნა იყო, მეთორმეტე კლასში ინგლისური ენა ბრიტანული წიგნებით გვესწავლებინა. ამ წიგნების მიხედვით კი, სწავლება დონეების მიხედვით ხდება. მოგეხსენებათ, ინგლისური ენა ისეთი სავანია, რომელიც მთელი ცხოვრება უნდა ისწავლო, ლექსიკა გაიმდიდრო. მოსწავლისთვის, რომელსაც მეთორმეტე კლასში ვასწავლი, თერთმეტი კლასიც საკმარისი იყო, თუმცა, სწავლა არასოდესაა ზედმეტი. აქედან გამომდინარე, მეთორმეტე კლასი ინგლისურ საგანში და კიდევ რამდენიმე საგანში ზედმეტი არ აღმოჩნდა. ზოგადად კი, მიმაჩნია, რომ სასწავლო პროგრამები ისე უნდა შეადგინონ, რომ მეთორმეტე კლასმა მეტი დატვირთვა შეიძინოს და მოსწავლეებმა ეს წელიწადი დაკარგულად არ მიიჩნიონ, პირიქით, მათთვის ნაყოფიერი უნდა იყოს.

ლალი ქათამაძე, სასწავლო ნაწილის გამგე: მეთორმეტე კლასის დაშვება, ჩემი აზრით, სრულიად ზედმეტია არა მარტო ჩვენი სკოლის მაგალითზე, სხვა სკოლების მეთორმეტე კლასებისთვისაც ეს წელიწადი დროის დაკარგვა იყო. ამ ერთ წელს ისინი სხვაგვარად გამოიყენებდნენ, ზოგი – უმაღლესში ჩააბარებდა, ნაწილი – მუშაობას დაიწყებდა. დიდ პრეტენზიას გამოთქვამენ მოსწავლეები იმის გამო, რომ მეთორმეტე კლასის პროგრამა სრულიად არ შეესაბამება საბიტურიენტო პროგრამას. ეს სამართლიან პრეტენზიაა, რადგანაც საჭიროა მეტი თანხვედრა მისაღები გამოცდების და მეთორმეტე კლასის პროგრამებს შორის. ასეთ შემთხვევაში, მეთორმეტე კლასი უფრო გამართლებული და, რაც მთავარია, საჭირო გახდება მოსწავლეებისათვის.

ამ ფორმით, ამ პროგრამით XII კლასს ფუნქცია არ აქვს. ჩემი აზრით, XII კლასში უნდა მოხდეს ყველა იმ მასალის თავმოყრა და ანალიზი, რაც თერთმეტი წლის განმავლობაში ისწავლეს.

ლად დაემატა მისაღები გამოცდების პროგრამას და სახელმძღვანელოშიც საფუძვლიანადაა გაშუქებული. თუმცა, როგორც გითხარით ეს არ არის საკმარისი. ბავშვებიც ამ მიზეზით არ დადიან სკოლაში. მათ ურჩევნიათ კერძო მასწავლებლებთან მოემზადონ მისაღები გამოცდების პროგრამის მიხედვით.

ბარბარა ქებაძე, ისტორიის მასწავლებელი: ძირითადად, ვეთანხმები ქალბატონი ქეთინოს აზრს, XII კლასის არსებობასთან დაკავშირებით, მაგრამ არა იმ ფორმით, როგორითაც გვაქვს. ანუ, პრაქტიკულად, ამ ფორმით, ამ პროგრამით XII კლასს ფუნქცია არ აქვს. ჩემი აზრით, XII კლასში უნდა მოხდეს ყველა იმ მასალის თავმოყრა და ანალიზი, რაც თერთმეტი წლის განმავლობაში ისწავლეს ბავშვებმა. ამ პროგრამის შესწავლა, რასაც ვეთავაზობს XII კლასის ისტორიის სახელმძღვანელო, პრაქტიკულად, შეუძლებელია. მოსწავლეს, რომელიც მისაღები გამოცდებისათვის ემზადება, ეს სახელმძღვანელო ვერ დაეხმარება. მასში შესულია მხოლოდ XX

მათ იციან, რა აწყობთ. აწყობთ სკოლაში სიარული? ისინი დადიან. არ აწყობთ? არ დადიან. ამიტომ ჩვენ (ვგულისხმობ სახელმწიფოს) უნდა მოვერეოთ მათ ინტერესებს.

მერი ცეცხლაძე, ქართული ლიტერატურის მასწავლებელი: XII კლასის არსებობის შესახებ ვერაფერს ვეტყვით. რადგან განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ გადაწყვიტა, ალბათ, ასე იყო საჭირო. რამდენად გამართლებს, ამას დრო აჩვენებს. შემოძლია ვისალოლო სახელმძღვანელოზე, რომლითაც მე ვასწავლი. ეს არის არაჩვეულებრივი და აუცილებლად საჭირო წიგნი. სხვა საკითხია, ემთხვევა თუ არა პროგრამები ერთმანეთს, ამაზე მე, პირადად, პრობლემა არ მაქვს. სასწავლო წლის დასაწყისში, როცა ამ სახელმძღვანელოს პრეზენტაციაზე ავტორებს შევხვდით, მათგან უკვე ვიცოდი, რომ პროგრამები ერთმანეთს არ ემთხვეოდა. ავტორების მოსაზრებით, არ არის აუცილებელი, მოსწავლემ ერთი და იგივე რამ ისწავლოს (ვგულისხმობ სკოლის და მისაღები გამოცდის პროგრამას). სახელმძღვანელოში შესული მასალა მოსწავლეს დიდ ცოდნას მისცემს, ასწავლის უცხო ტექსტთან მუშაობას. ჩემი მოსწავლეები ძალიან კარგად მომეყვინან, თითოეული ნაწარმოების შესწავლის მერე, ნერვ ტექსტის ანალიზს. თემატიკა ძალიან მრავალფეროვანია, არ მესმის მათი, ვინც ამბობს, რომ თუ პროგრამები არ ემთხვევა ერთმანეთს, ამიტომ ეს წიგნი არ ვარგა. რატომ, უცხო ტექსტზე მუშაობა არ არის სავალდებულო მისაღები გამოცდებისთვის? რატომ ეძებოს სხვაგან XII-კლასელმა ეს ტექსტები, როცა სახელმძღვანელოშია მოცემული? არც იმ აზრს ვეთანხმები, რომ წიგნი ძალიან დიდია და დროში ვერ ვეჭვით... იცით, რა? XII-კლასელმა უნდა ნაიკითხოს და თან ძალიან ბევრი. სხვა საკითხია, თუ მას არ აქვს კითხვის უნარი გამოუმუშავებელი. ეს ნაკლები ნამდვილად იკვეთება. პრინციპში, პროგრამა გათვალისწინებულია იმ XII-კლასელებისთვის, რომლებსაც კითხვის პრობლემა, წესით, არ უნდა ჰქონდეთ. მაგრამ თუ აქეთ – პრობლემა სწორედ აქ არის.

არ ვიცი, სხვა სკოლებში რა ხდება, მაგრამ ჩემი ბავშვების მაგალითზე მინდა გითხარათ, რომ ჩვენ საფუძვლიანად ვსწავლობთ შემოთავაზებულ სახელმძღვანელოს, მოსწავლეებს უმუშავებდათ აზროვნების უნარი, ინტერესით ასრულებენ საშინაო დავალებებს, ვმუშაობთ გრამატიკაზე, რომელიც მთლიანად ემთხვევა მისაღები გამოცდის პროგრამას, ანუ მიმაჩნია, რომ მათთვის ეს წელი დაკარგული ნამდვილად არ არის.

მაკა ყიფინიძე
თამუნა ტანტუნიძე

XII კლასის ქართულის სახელმძღვანელოში შესული მასალა მოსწავლეს დიდ ცოდნას მისცემს, ასწავლის უცხო ტექსტთან მუშაობას.

თბილისის №166 საჯარო სკოლა

ქეთევან კენჭიაშვილი, მათემატიკის მასწავლებელი: ჩემი აზრით, მე-12 კლასის მათემატიკის სახელმძღვანელო არაა დეკლარატიური ერთიანი ეროვნული გამოცდების პროგრამასთან. მთელი რიგი საკითხები, რომლებიც მისაღების პროგრამაშია, სახელმძღვანელოში არ არის გათვალისწინებული. ბუნებრივია, გამართლებული იქნებოდა, თუ სახელმძღვანელო შემაჯამებელი ტიპის იქნებოდა, ვგულისხმობ მოსამზადებელ საშუალოს ეროვნული გამოცდებისთვის.

რაც შეეხება XII კლასის არსებობას, პირადად ჩემი ოჯახის წევრს პრობლემა შეექმნა, უცხოეთში სწავლის გაგრძელების კუთხით, რადგან ჰქონდა 11-წლიანი სწავლების დიპლომი, რომელიც მიუღებელი აღმოჩნდა ევროპაში. აქედან გამომდინარე, თუ გვინდა ევროკავშირში ინტეგრაცია, ბუნებრივია, XII კლასი გამართლებულია. საზღვრები გახსნილია, ბევრს აქვს სურვილი სწავლა უცხოეთში გააგრძელოს. ამიტომ თორმეტწლიანი სწავლება, ადრე თუ გვიან, უნდა შემოიღებულყო.

საუკუნე, რომელიც, რა თქმა უნდა, შედის მისაღების პროგრამაში, მაგრამ ვანა ეს საკმარისია? სახელმძღვანელო ძალიან დატვირთულია, თუ ჩვენ მივყვებით იმ პროგრამას, რასაც ითვალისწინებს XII კლასის სტანდარტი, შეუძლებელია დამატებითი მასალაც დაევიხმაროთ. თავმოყრილი მასალებისა და დოკუმენტების შესწავლას და გაანალიზებას საკმაოდ დიდი დრო სჭირდება. ამდენად, თუ მართო XII კლასის პროგრამაზე ვიმუშავებთ, რა თქმა უნდა, საინტერესო და საჭირო ინფორმაციაა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ბავშვების ინტერესს, აბსოლუტურ შემთხვევაში ვართ. ბავშვები იძულებული არიან, გაიარონ საპროგრამო მასალა, მაგრამ მე მიწევს მათი უკმაყოფილების მოსმენა. ამიტომ აქცენტი იმ მასალაზე ვაკეთებ, რომელიც მისაღები გამოცდების პროგრამითაა გათვალისწინებული.

მანანა კობიაშვილი, რუსულის მასწავლებელი: მართალია, წელს არ მაყავს XII კლასი, მაგრამ ვასწავლი მე-11 კლასს. აქაც იგივე პრობლემაა. ორი აზრი არაა იმაში, რომ მე-12 კლასის არსებობა აუცილებელია. ამის შესახებ ჩვენ განათლებისა და მეცნიერების მინისტრთან, ბატონ ნიკა გვარამიასთან შეხვედრის დროსაც ვისაუბრებთ. მან ახსნა, თუ

წარმოგიდგინოთ კარგი სკოლა



ფილიპე გოგიჩაიშვილის სახელობის ბასანბრძლივებული კარგი სკოლა

სკოლის გახსნის იდეა ჩემი ოთხი შვილიშვილის დამსახურებაა. მინდოდა, ისეთი სკოლისათვის ჩამეყარა საფუძველი, რომელიც განსაკუთრებით მოსახერხებელი იქნებოდა იმ მშობლებისათვის, რომლებიც მთელი დღის განმავლობაში საქმით არიან დაკავებული და არა აქვთ საშუალება, გაკვეთილების შემდეგ შვილები სხვადასხვა წრეზე ატარონ ან დამატებით ამზადონ რეპეტიტორებთან. სკოლამ, 2008 წლის აპრილში, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსაგან გენერალური ლიცენზია მიიღო. მოგეხსენებათ, განათლების კანონის შესაბამისად, ჩვენი სკოლა, როგორც ახლად ლიცენზირებული დაწესებულება, 2013 წლამდე ითვლება აკრედიტებულად.



დირექტორი ია გუგუნავა

სკოლა ფილიპე გოგიჩაიშვილის სახ. თბილისის იურიდიულ-ეკონომიკური ინსტიტუტის ბაზაზე დაარსდა. ინსტიტუტი, მერვე წელია, საკმაოდ წარმატებით ახორციელებს უმაღლესი განათლების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებს. ხშირად მიწვევს კითხვებზე პასუხი, რატომ შევჩერე არჩევანი ფილიპე გოგიჩაიშვილზე. მოკლედ მოგახსენებთ ამ ღვაწლმოსილი პიროვნების შესახებ, რომელიც უნივერსიტეტის ეზოში ბუმბერაზი მეცნიერების გვერდითაა დაკრძალული. იყო ლაიფციგის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, ეკონომიკურ მეცნიერებათა და ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი ივანე ჯავახიშვილთან ერთად; თსუ-ს პირველი ხაზინადარი, ფინანსისტი, მთარგმნელი, პოლიგლოტი, პუბლიცისტი და დიპლომატი; გაზეთ „ივერიის“ რედაქტორი (გარდაცვალებამდე ინახავდა გაზეთის „კლმეს“), ილია ჭავჭავაძის, იაკობ გოგებაშვილის, ნიკოლოზ ბერბეის ანდერძის აღმასრულებელი, სამეცნიერო პროგრამის ავტორი. ვფიქრობ, კითხვებზე ჩემი პასუხიც ნათელია: თანამედროვე ახალგაზრდობამ უნდა იცოდეს და ახსოვდეს თვალსაჩინო მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე ფილიპე გობრიელის ძე გოგიჩაიშვილი (1872-1950).

გეგმის მიხედვით, ასევე დამატებით სააღმზრდელო პროგრამით. კლასებში მოსწავლეების მაქსიმალური რაოდენობა 10-12-ს შეადგენს. ისინი, პედაგოგების ინდივიდუალური მეთვალყურეობის ქვეშ, ადგილზე ამზადებენ საშინაო დავალებებს. სწავლის პროცესში აქტიურად არიან ჩართული ფსიქოლოგები, რომლებიც თითოეული მოსწავლის ქცევის, ხასიათისა და ფსიქიკიდან გამომდინარე არჩევენ მათთან მიდგომის მეთოდებს. კლასზე მიმავრებულია აღმზრდელი, რომელიც ვალდებულია, ყურადღება მიაქციოს მოსწავლეების უსაფრთხოებას, პირად ჰიგიენას, კვებას და დისციპლინას. განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი სამედიცინო ფიზკულტურის გაკვეთილებს, აერობიკას, რადგან მოზარდებში ძალზე გავრცელებულია ხერხემლის გამრუდება, ტანადობის დარღვევა და სქოლიოზი. სკოლამ თითოეულ მოსწავლეს ჩაუტარა სამედიცინო გამოკვლევები, მათ შორის, გულის კარდიოგრაფული გამოკვლევა. აღნიშნული პროექტი საკმაოდ წარმატებით განვახორციელეთ ზაქრო თელიას სახ. სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის ცენტრის დირექტორის, მაკო ხოფერიას ხელმძღვანელობით. ჩვენს მოსწავლეებს, მათი დასკვნების საფუძველზე, ჯანმრთელობისათვის საჭირო და აუცილებელი სამკურნალო მასალები სკოლაში უტარდებათ.

ფ. გოგიჩაიშვილის სახ. კერძო სკოლა ზემო ვერაზე, ეკოლოგიურად სუფთა და მყუდრო ადგილას, ოთხსართულიან კერძო შენობაში მდებარეობს. აქვს მოსწავლეთა სწავლისა და დასვენებისათვის სრულყოფილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა: ღია ვერანდებიანი ეზო, საცურაო აუზი, ჰიდრომასაჟიანი ჯაკუზები, სპორტული და გასართობი დარბაზი, სასადილო, კომპიუტერული ცენტრი, რაც საშუალებას გვაძლევს, განხორციელებულ რეჟიმში, დღის 9 საათიდან საღამოს 6 საათამდე, ვიმუშაოთ როგორც ეროვნული

სკოლა ქალაქის ნებისმიერ რაიონში მცხოვრებ მოსწავლეებს, დილა-საღამოს, ტრანსპორტით უზრუნველყოფს. ასევე, მნიშვნელოვანია ჩვენთვის მოსწავლეთა კვების რაციონისა და რეჟიმის შედგენა. ყველა მოსწავლეს აქვს საკუთარი ანკეტა, სადაც მისთვის სასურველი საჭმელია მითითებული. მენიუ დიეტოლოგების მიერ მრავალასორტიმენტიანი რაციონის მიხედვითაა შედგენილი.



ლი. სკოლას პროდუქტით ჰიპერმარკეტი „გუდვილი“ უზრუნველყოფს. სკოლაში, დამატებით სააღმზრდელო საათებში, მოსწავლეები სწავლობენ ქართულ და ევროპულ ცეკვებს, იღებენ მუსიკალურ განათლებას, სწავლობენ გობელენასა და ბატიკას, ორ უცხო ენას, დაგვყავს ცურვაზე, ვერის კორტებზე – ჩოგბურთზე. დასვენებისათვის განკუთვნილ დროში უყურებენ შემეცნებით და გასართობ ფილმებს. ჩვენმა პატარებმა მონაწილეობა მიიღეს ელენე ახვლედიანის სახ. სამხატვრო გალერეაში ნახატების გამოფენაზე, თემა – „საქართველოს ოკუპაცია“. ასევე, სკოლის ხშირი სტუმარია „მაკდონალდსი“ ინტელექტუალური თამაშებით და საჩუქრებით. სკოლის ორგანიზატორები, მოსწავლეთა მონაწილეობით, დგამენ სპექტაკლებს, კონცერტებს, აწყობენ ექსკურსიებს ქალაქის ღირსშესანიშნავ ადგილებში, ასევე ქალაქგარეთ, ისტორიულ ადგილებში. ინსტიტუტს მჭიდრო ურთიერთობა აქვს გერმანიისა და საფრანგეთის საზღვარზე მდებარე ქალაქ ფრაიბურგის საგანმანათლებლო ცენტრთან. ვფიქრობ, ამ რესურსს სკოლაც აქტიურად გამოიყენებს.

კლასებში მივიღეთ მოსწავლეები. სრულყოფილ სასწავლო პროცესს წარმართავენ როგორც მეთოდისტი პედაგოგები, ასევე აკადემიური დოქტორები, სასწავლო და სამეცნიერო პროგრამის ავტორები, რომელთაც ახალგაზრდებთან მუშაობის დიდი გამოცდილება აქვთ. სკოლის კონსულტანტი გახლავთ ბატონი როსტომ ხომერიკი, განათლების ექსპერტი, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, რომელსაც აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული ეროვნული სასწავლო გეგმების შედგენაში.

ბუნებით მაქსიმალისტი ვარ და საქმეში ყველაფერი ჩავდე – ნერვია, დრო, განათლება, პროფესიონალიზმი, რადგან ბავშვებისათვის შემეძენა იდეალური, უსაფრთხო და კომფორტული გარემო, სადაც ფუნდამენტური ცოდნით აღჭურვილი სამშობლოს პატრიოტი თობა აღიზრდება. დაბოლოს, სულ რამდენიმე დღეში ჩვენი სკოლა საქართველოს პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ს ლოცვა-კურთხევას მიიღებს.

ია გუგუნავა

ფ. გოგიჩაიშვილის სახ. თბილისის იურიდიულ-ეკონომიკური ინსტიტუტის რექტორი, ფ. გოგიჩაიშვილის სახ. სკოლის დირექტორი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, საქ. ეროვნული აკადემიის საპატიო აკადემიკოსი, „ფაზისის“ მეცნ. აკადემიის წამდელი ნევრ-აკადემიკოსი



სკოლის მისამართი: გოგებაშვილის III შესახვევი №17
 ტელ.: 899 55-16-37; 36-94-33; 36-9949.
 www.pgogichashvili-school.ge E-mail: pgogichashvili@mail.ge

მიზანი - წიგნის სიყვარულის გაძლიერება

გაზეთ „ახალი განათლების“ (22-28 მაისი, 2008 წ.) მკითხველებსათვის ცნობილია, თუ როგორი ცხოვრებით ცხოვრობენ თბილისის დამოუკიდებელი სკოლა-გიმნაზია „გორდას“ (დირექტორი მერი აფხაზავა) მოსწავლეები, როგორ ცდილობენ, შეაყვარონ მოზარდებს წიგნი და როგორ მოამზადონ ისინი ცხოვრებისეული სიძნელების გადასაღებად.

უკვე ტრადიციად იქცა მოსწავლეთა სასკოლო კონკურსი „წლის საუკეთესო მკითხველი“. იგი ყოველწლიურად, აპრილიდან-აპრილამდე ტარდება და „დედაწიგნის დღის“ აღსანიშნავ სასკოლო ზეიმზე, სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებული მოსწავლეები ჯილდოვდებიან.

მიმდინარე სასწავლო წელს მოსწავლეთა თვითმმართველობამ (დირექციის თანხმობით) გადაწყვიტა, რაკი ეს კონკურსი წიგნის სიყვარულის გაძლიერებას ისახავს მიზნად, მწერლებიც მოგვეწვია და ამით უფრო საინტერესო გაგვეხადა. ამჯერად, სხვა სტუმრებთან ერთად, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე ქალბატონი მაცყვალა გონაშვილი და ცნობილი მწერალი, რუსთაველისა და ილია ჭავჭავაძის პრემიების ლაურეატი, პროფესორი რევაზ მიშველაძე გვესტუმრნენ.



ლონისძიებმა შთამბეჭდავად წარმოართა: პირველი ნაწილი დედაწიგნის დღისადმი მიძღვნილი ზეიმი იყო. პატარებმა არაჩვეულებრივად წარმოადგინეს ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია: „დიდი იაკობის მიერ ანთებული 33 მზე“ (პედაგოგები: ნინო ბართიშვილი, ქეთევან ნონეშვილი). კომპოზიციაში მიზნობრივად იყო ჩართული და მებუთეკლასელებმა დიდი ემოციით

ნაიკითხეს მაცყვალა გონაშვილის ლექსები. მეშვიდეკლასელმა დავით პატატიშვილმა საკუთარი ლექსები წაიკითხა, ხოლო მეათეკლასელმა რევაზ მიშველაძის მშვენიერი ნოველის „ტვირთი“ ინსცენირება (პედაგოგი ჯულიეტა ჯანჯღავა) მსახიობური ოსტატობით წარმოადგინეს.

ლონისძიების მეორე ნაწილში ჟიურის თავმჯდომარემ, სკოლის დირექტორმა, მერი აფხაზავამ, სტუმარ-მასპინძლებს გააცნო, თუ რა კრიტერიუმებით გამოავლინა ჟიურმა სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებულები. ნომინაციათა წარდგინებაში, ჟიურის წევრებთან ერთად, სტუმრებიც ჩაერთვნენ. გამარჯვებულ მოსწავლეებს სიგელები და „ვეფხისტყაოსნის“ სასკოლო გამოცემა გადაეცათ.

„წლის საუკეთესო მკითხველი - 2008“-ის გამარჯვებული გახდა XII-კლასელი თამარ ჩუბინიშვილი, რომელსაც რევაზ მიშველაძემ, სიგელთან ერთად, თავისი ნოველების წიგნი გადასცა ავტოგრაფით.

მეორე ადგილი ერგო მებუთეკლასელ ვარლამ ციციშვილს, მესამე კი - IX-კლასელ თორნიკე ფარსაღაშვილს.

„საუკეთესო კომენტარისათვის“ დაჯილდოვდნენ: ვასილ მაჭარაშვილი (V კლასი), ლევან ბაზაძე (VI



კლასი), თამარ კბილაშვილი (IX კლასი), თეკლე ქველაძე (X კლასი), რომლებსაც საჩუქრები ჟიურის წევრებმა გადასცეს.

„საუკეთესო მკითხველი კლასი“ - V კლასი და მისი დამრიგებელი მარინე ვეშაპიძე პოეტმა მაცყვალა გონაშვილმა დააჯილდოვა.

დაჯილდოვდნენ „ნორჩი კალიგრაფისტები“ პირველკლასელი მალხაზ მაჭარაშვილი, მესამეკლასელი ბესიკ მეკინულოვი, მებუთეკლასელი ვასილ მაჭარაშვილი.

სკოლის დირექციამ სიგელებით დააჯილდოვა სკოლის ბიბლიოთეკარები: ირინე ნასყიდაშვილი და ირმა მუხიგულაშვილი. ბიბლიოთეკას კი ახლად გამოცემული „მსოფლიო ლიტერატურის რჩეული მოთხრობის“ ექვსტომეული მწერლებმა გადასცეს. დაჯილდოვდნენ პედაგოგები, რომლებიც ზრუნავენ მომავალი თაობის განსწავლულობისა და ზნეობრივ-ესთეტიკური აღზრდისათვის.

მოსწავლეებმა მწერლებს შეკითხვებით მიმართეს და საინტერესო პასუხებიც მოისმინეს. სტუმრებმა კმაყოფილება გამოხატეს:

„აღფრთოვანებული ვარ დღევანდელი შეხვედრით. მთელი ცხოვრება გაცეცხლდა აქ მიღებული სიამოვნება. ხელზე მინდა ვაკოცო

იმ მასწავლებლებს, ვინც შეადგინა ეს დიდებული ტექსტი, სცენარი. ჩვენი ერის გაგრძელება, უპირველესად, ენაშია. „დედაენა“ და „ვეფხისტყაოსანი“ ჩვენი ერის სიამაყე და საოცრებაა, თოთხმეტი დამწერლობიდან რომ ერთი ქართულია, ეს ერის პასპორტია, რათა გააგრძელოს არსებობა. მადლობა თქვენ, რომ ასე გიყვართ ენა და წიგნი!“ - ამ სიტყვებით მოგვმართა მწერალმა რევაზ მიშველაძემ.

„დიდი, საოცრად დიდი სიყვარული იდგა დარბაზში. მადლობა, რომ ასეთი ლამაზი, შესანიშნავი, ორიგინალური, ემოციური, სამშობლოსა და „დედაენის“ სიყვარულით დამუხტული გაკვეთილი ჩავგიტარეთ. მგერა, ეს მუხტი არასოდეს განელდება. მადლობა თქვენს აღმზრდელს, ვინც ეს ყველაფერი გასწავლათ“, - სიხარულს ვერ ფარავდა პოეტი მაცყვალა გონაშვილი.

მადლობა მწერლებსა და სხვა სტუმრებს, რომლებმაც ასე გაგვახარეს. ეს ლამაზი დღე, ჩვენ და ჩვენს პედაგოგებს, მთელი ცხოვრება გვემახსოვრება.

თეონა კანდელაკი

მოსწავლეთა თვითმმართველობის დარბაზის უფროსი, VII კლასის მოსწავლე



საერთაშორისო კონფერენციის გამარჯვებულები

24-29 აპრილს, პოლონეთში, ქალაქ პსუშინაში (კრაკოვის მახლობლად), ახალგაზრდა მეცნიერთა მე-16 საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა. მსოფლიოს მონიანე 16 ქვეყნის რჩეული მოსწავლეები ერთმანეთს მათ მიერ დამუშავებული (მათემატიკაში, ფიზიკაში, ინფორმატიკაში და ეკოლოგიაში) თემების პრეზენტაციაში ეჯიბრებოდნენ.

კონფერენციაში საქართველოდან თბილისელი მოსწავლეებით დაკომპლექტებული ორი გუნდი მონაწილეობდა. პირველ გუნდში ქართულ-ამერიკული სკოლის შვიდი მოსწავლე სამი თემით იყო წარმოდგენილი (თემების ხელმძღვანელი - ამავე სკოლის დირექტორი მამუკა მესხიშვილი). მეორე გუნდში ქართულ-ესპანურ-ინგლისური სკოლის (დირექტორი - რუსუდან ბოლქვაძე) მოსწავლეები: ოთარ გველეხიანი, ნინო ჟიჟილაშვილი, გვანცა კომბეგაშვილი და ნინო კაკაბაძე ორი თემით იყვნენ წარმოდგენილი (თემების ხელმძღვანელი - საქართველოს პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ცენტრალური ინსტიტუტის მათემატიკის მიმართულების ხელმძღვანელი, პითაგორას საზოგადოების თავმჯდომარე, ზურაბ ალდგომელაშვილი).

კონფერენციაზე მათემატიკის ნომინაციაში 10 მედალი გათამაშდა - ოთხი ოქრო, სამი ვერცხლი და სამი ბრინჯაო (იგულისხმება თითო მედალი გამარჯვებულ თემას, თემაზე მიმდებარე ყოველი მოსწავლე იღებს იმ ხარისის მედალს, რომელი ხარისხის მედალიც დაიმსახურა თემამ).

ქართულ-ესპანურ-ინგლისური სკოლის (II ჯგუფის) მოსწავლეების მიერ წარდგენილი ორი თემიდან თითოეული ვერცხლის მედ-



ლით დაჯილდოვდა, ხოლო ქართულ-ამერიკული სკოლის (I ჯგუფი) მოსწავლეების მიერ წარდგენილი სამი თემიდან ერთმა ვერცხლი, დანარჩენმა ორმა ბრინჯაოს მედლები დაიმსახურეს.

ზურაბ ალდგომელაშვილი: „სასიხარულოა, რომ ქართველი მოსწავლეები, მსოფლიოს 16 მონიანე ქვეყნის მოსწავლეებს შორის, წარმატებით გამოვიდნენ. მსგავს კონკურსებსა და კონფერენციებში ქართულ სკოლას ჯილდოების მოპოვება არ უჭირს.

ხაზი მინდა გავუსვა იმ გარემოებას, რომ საერთაშორისო ასპარეზზე, თემის ხელმძღვანელის რანგში, საქართველოს გუნდი უკვე მეოთხედ მყავდა წარდგენილი (2005 წელს ალმა-ატის საერთაშორისო კონფერენცია (IMPC-2005) - ერთი მოსწავლე, ერთი ოქროს მედალი; 2006 წელს ალმა-ატის საერთაშორისო კონფერენცია (IMPC-2006) - ერთი მოსწავლე, ერთი ოქროს მედალი; 2008 წელს, ჩერნოვციში (უკრაინა), ახალგაზრდა მეცნიერთა საერთაშორისო კონფერენციაზე - ორი

მოსწავლე, ერთი ოქროს და ერთი ბრინჯაოს მედალი. 2009 წელს პსუშინაში - ორი თემა, ორივე ვერცხლის მედალი). მართალია, ნლე-ვანდელი შედეგი ჩვენი გუნდისთვის დიდი გამარჯვებაა, ვინაიდან მთელი რიგი ძლიერი მათემატიკური სკოლის მქონე ქვეყნების გუნდები მედლების გარეშე დარჩნენ, მაგრამ პირადად ჩემთვის, როგორც თემების ხელმძღვანელისათვის, წარუმატებლად მიმაჩნია. ისე კი, ერთი ფაქტი მაოცებს. როგორც წესი, ყოველი თემის პრეზენტაციის წინ თემის ხელმძღვანელი ჟიურის თითოეულ წევრს თემის ეგზემპლარს, ვაცნობის მიზნით, აძლევს. თემის პრეზენტაციის შემდეგ კი, ეგზემპლარები თემის ხელმძღვანელს უნდა დაუბრუნდეს. პრეზენტაციების დამთავრების შემდეგ აღმოჩნდა, რომ მხოლოდ ჩვენი თემების ეგზემპლარები „გაუჩინარდა“ ჟიურის წევრების ჩანთებში. ამასთან, მინდა შევნიშნო, რომ ამერიკის შეერთებული შტატების გუნდის თემების ხელმძღვანელი (მისმა თემამ სამართლიანად დაიმსახურა ერთ-ერთი ოქრო) განსაკუთრებით დაინტერესდა ჩვენ მიერ წარდგენილი ორივე თემით.

დასასრულს მინდა, მადლობა გადავუხადო ქალბატონ რუსუდან ბოლქვაძეს საორგანიზაციო საქმეებში განუხლები კოლოსალური სამუშაოსთვის. ასევე, მადლობა მინდა გადავუხადო ბატონ ალექსანდრე ნასყიდაშვილს, კომპიუტერული უზრუნველყოფისათვის.

ისე, ურიგო არ იქნებოდა, თუ მცირე დახმარებას მაინც გავკინებდა რომელიმე მეცენატი ამ საქმიანობის წარმატებით წარმართვისთვის, რათა სამომავლოდ არ დაიკარგოს ეს „მოკრძალებული მიღწევები“ ამ სფეროში“.

მაკა ყიფინი

წიგნი უფლისა და ალაშიანის ურთიერთობის შესახებ – ბიბლია

სიტყვა „ბიბლია“ ნიშნავს „წიგნს“, უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვი „წიგნებს“, ანუ „წიგნთა კრებულს“. ბიბლია აღიარებულია, როგორც „წიგნთა წიგნი“ – ყველაზე პოპულარული, მრავალტომიანი წიგნების კრებულს. მასში თავმოყრილი თითოეული წიგნი მოგვითხრობს ღმერთის გარეშე ცხოვრების შეუძლებლობაზე და საუკეთესო გზამკვლევა უფალთან დაკარგული ურთიერთობის აღსადგენად. ბიბლიაში ადამიანის მთავარი სამოქმედო ძალა სიყვარულია. ბიბლიური მოვლენების გვირგვინი უფალი და ადამიანი ერთდროულად უყვართ, ისინი ღვთისკენ მიიღვივებიან და მოყვას არ იყვებიან. ბიბლია მოგვითხრობს, უფლის მიერ ადამიანისათვის ბოძებულ უმთავრეს ნიჭზე და ცხოვრების საბოლოო მიზანზე – მისი განმტკიცების შესაძლებლობაზე.

ბიბლია ყოველთვის უდიდეს ზეგავლენას ახდენდა, როგორც ცალკეულ მკითხველზე, ისე ზოგადად, ადამიანის ცხოვრების ყველა სფეროზე. ეს არ ნიშნავს, რომ მთელი მსოფლიო ბიბლიის მიხედვით ცხოვრობდა ან ცხოვრობს, ყველა ბიბლიას კითხულობს ან ბიბლიის ენა ყველასთვის გასაგებია.

ბიბლიაში აღწერილია ადამიანთა თანაცხოვრების გამოხატვითი საუკეთესო ამბები, მოცემულია უმნიშვნელოვანესი ზოგად-საკაცობრიო წინაპრობები, ასახულია რელიგიურ-ფილოსოფიური აზროვნების ბრწყინვალე ნიმუშები, უნიკალური იგავები, აფორიზმები, პოეტური ქმნილებები. ბიბლიას კითხულობენ ღვთის მორწმუნე და ურწმუნე ადამიანები; ბიბლიაში წამოჭრილი საკითხების გარშემო დღემდე კამათობენ. ბიბლია ერთადერთი წიგნია, რომელიც უფლის მიერ ადამიანის გადარჩენისთვის გაღებული უდიდესი მსხვერპლის: ძე ღვთისას განკაცების, ცხოვრების, სწავლების, ვნებების, სიკვდილისა და აღდგომის შესახებ მოგვითხრობს.

ბიბლია ინერგობდა, დაახლოებით, 1300-1400 წლის განმავლობაში. მისი პირველი წიგნები (მოსეს ხუთწიგნი) დაიწერა ძველი ხელთაღრიცხვის მეორე ათასწლეულში, ხოლო უკანასკნელი, ახალი წელთაღრიცხვის I-II საუკუნეების მიჯნაზე.

სხვაგვარად ბიბლია „წმიდა წერილად“ იხსენიება. ის ორ ძირითად ნაწილად, ძველ და ახალ აღთქმად იყოფა. ძველი აღთქმის წიგნები იესო ქრისტეს დაბადებამდე დაწერილია. ახალი წელთაღრიცხვის მეორე საუკუნემდე ბიბლიად მხოლოდ ძველი აღთქმის წიგნები იწოდებოდა. ამ წიგნებში მოთხრობილია ებრაელი, ანუ ღვთის რჩეული ერის ისტორია. ეს არის ამბავი, რომელიც მოგვითხრობს ჯერ

უფლისა და კაცის, შემდეგ უფლისა და ოჯახის, დაბოლოს, უფლისა და ხალხის ურთიერთობის შესახებ.

ახალ აღთქმაში შემავალ წიგნებში კი გადმოცემულია ჩვენი მაცხოვრის, იესო ქრისტეს ცხოვრების, სწავლებისა და მისი მონაწევრების – მოციქულების საქმიანობის შესახებ.

ბუნებრივია, ჩნდება კითხვა, მაინც რა ძალა აერთიანებს დროის ამ უზარმაზარ მონაწევრთა შექმნილი წიგნების შინაარსს?

ბიბლია არის წიგნი ღმერთსა და ადამიანს შორის დადებული აღთქმის შესრულების აუცილებლობის შესახებ. ჭეშმარიტი სიცოცხლე მხოლოდ უფალშია, ეს აღთქმაც ადამიანის ბიბლიურად ცხოვრებაში, ანუ უფლის წინაშე უდმივ პასუხისმგებლობაში უნდა ვლინდებოდეს.

ისე, როგორც მთელი კაცობრიობა ერთიანდება ადამში, ბიბლიაში ადამის მოდემის ცხოვრების ყოველი ეპოქა გამოლიანებული. ასახულია ღმერთისკენ მიმავალი კაცის შეცდომები და წარმატებები. ძველი აღთქმის წიგნები მესიის მოლოდინსა და მისი მოსვლისათვის საჭირო სამზადის ასახავენ. ამ მოლოდინის აღსრულება და მაცხოვართან ადამიანის უშუალო შეხვედრა კი ახალ აღთქმაში განხორციელებული. ბიბლია მსწავლელთა წიგნია. ბიბლიის ყოველი წიგნიდან ამოკრებილი ცოდნა, ღვთის მორწმუნე ადამიანის გონებაში, ერთ მთლიან ბიბლიურ ჭეშმარიტებად, სარწმუნოებად და ღვთის მადლად გარდაიქმნება.

„რომელთა მიმართ ეპისტოლეში“ მოციქული პავლე გვასწავლის „...როცა იმრავლა ცოდვამ, მით უფრო მომრავლდა მადლი, რათა, როგორც ცოდვა სუფევდა სიკვდილში, ასევე ყოფილიყო მადლის სუფევაც საუკუნო სიცოცხლისათვის სიმართლის მეოხებით, ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ“ (რომ. 5:19,20). სწორედ საუკუნო სიმართლის გადმოცემისათვის, სულიწმიდის მადლით დაინერგა წმიდა წერილი – ბიბლია. ამ სიმართლის რწმენა სიყვარულში ვლინდება. უფალი ბრძანებს: „გიყვარდეს უფალი ღმერთი შენი მთელი შენი სულით და მთელი შენი გულით და მთელი შენი გონებით“ (მათ. 22:37). მორწმუნის ღმერთისადმი და ადამიანისადმი სიყვარულს, წმინდა მართლმადიდებელი ეკლესია, სულიწმიდის ძალით ასაზრდოვებს. ამავდროს, როგორც უფლის სიტყვებიდან ვხედავთ, ამ საქმეს ძლიერი, ბიბლიური ცოდნით აღვსილი გონებაც ესაჭიროება. მხოლოდ ერთიანი სწავლება მოგვცემს ისეთ გულს, რომლის შესახებაც წმიდა დავით მეფესამუხე მეფე ბრძანებს:

„გადიდებ, უფალო, მთელი გულით ვილაპარაკებ შენს სასწაულებს“ (ფსალმ. 9:2).

უფლისადმი სწორედ ასეთი დამოკიდებულება უნდა ღვიოდეს ჩვენი მომავალი თაობის გულელებში. ამიტომ ვფიქრობთ, ეკლესიის ძალისხმევასთან ერთად, ურიგო არ არის გაიდოს გარკვეული ხიდი ბიბლიის დიდ წიგნსა და მოზარდი თაობის გულითად ბიბლიურ ინტერესებს შორის. რადგან ბიბლია ყოველი ცალკეული ადამიანისათვის სპეციალურად შექმნილ წიგნად წარმოგვიდგება, შესაძლოა ჩვენ მიერ წარმოდგენილი პროექტი ზოგიერთ მკითხველს რთულად ან მარტივად მოეჩვენოს. ცოდნის გაღრმავებით დაინტერესებულ პირთათვის ყოველი თავის ბოლოს მიუვითებთ ბიბლიის შესაბამის წიგნსა და ლექსს.

პროექტის შექმნის აუცილებლობა რამდენიმე მიზეზმა განაპირობა:

- მოზარდი თაობა ნაკლებ ინტერესს იჩენს ბიბლიური ამბების პირველწყაროსადმი;
- სკოლებში ბიბლიურ მასალას არ ეთმობა სათანადო ყურადღება;
- მომრავლდნენ სხვადასხვა კონფესიისა და რწმენის მქონე ადამიანები, რომლებიც აქტიურ, რელიგიურ პოზიციას გამოხატავენ და ახალგაზრდობის აზროვნებაზე ზეგავლენას ახდენენ;
- სატელევიზიო არხებზე და ინტერნეტში უამრავი ისეთი მასალაა, რომელიც, ნებით თუ უნებლიეთ, ამახინჯებს ბიბლიურ სინამდვილეს და უარყოფით ზეგავლენას ახდენს მოზარდი თაობის ბუნებაზე;

საქართველოში უკვე მე-5 საუკუნეში ვხვდებით ძველი და ახალი აღთქმის წიგნების თარგმანებს ქართულ ენაზე. მიუხედავად ამისა, ჩვენს სასწავლო დაწესებულებებში, სპეციალური ლიტერატურის ნაკლებობისა და სხვა სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო, ბიბლიურ ჭეშმარიტებებს ბავშვებს აცნობენ, როგორც ზღაპრებს. ხშირად, ვერც პედაგოგები და ვერც მშობლები ამომწურავად ვერ პასუხობენ ბავშვების მიერ დასმულ შეკითხვებს.

აღნიშნული პრობლემების გამო ჩნდება აუცილებლობა, ვიზრუნოთ ისეთი მასალის წარმოდგენაზე, რომელიც ბიბლიის შესწავლაში დაეხმარება არა მხოლოდ ბავშვებს, არამედ მასწავლებლებსა და მშობლებსაც.

წმიდა პეტრე მოგვიწოდებს: „...უფალი ქრისტე წმიდა-ყავით თქვენს გულში და მარადეჲმ მზად იყავით, რომ თვინიერად და მონივნებით მიუგოთ ყველას, ვინცა ვთხოვთ თქვენი სასოების ახსნას“ (1 პეტრ. 3:15).

მზად უნდა ვიყოთ!

ქველი აღთქმის წმიდა ისტორია მოსეს პირველი წიგნი დაბადება

ებრაულად ბიბლიისა და ქრისტიანულად ძველი აღთქმის ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილს ბიბლიის პირველი ხუთი წიგნი, ანუ მოსეს ხუთწიგნი: დაბადება, გამოსვლა, ლევიანები, რიცხვნი და მეორე რჯულის წიგნები წარმოადგენს.

წმიდა წერილისა და წმიდა გადმოცემის მიხედვით, ისინი დაწერილია მოსე წინასწარმეტყველის მიხედვით. ეს ხუთი წიგნი, ამავე დროს, ერთ მთლიან ამბავს მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ როგორ შექმნა ღმერთმა სამყარო, როგორ დაიდო აღქმა ღმერთსა და ადამიანს შორის, როგორ მისცა უფალმა ებრაელ ხალხს კანონები, ანუ ცხოვრების ის წესები რომლებიც მათ უნდა ეხელმძღვანელათ როგორც ადამიანებთან ურთიერთობაში, ისე უფალთან მიმართებაში.

მოსეს ხუთწიგნის პირველ წიგნს დაბადება ჰქვია, სხვაგვარად მას შესაქმნეს უწოდებენ. ეს წიგნი 50 თავისაგან შედგება. პირველი 11 თავი მოგვითხრობს სამყაროსა და ადამიანის შექმნის, პირველი ისტორიული მოვლენების შესახებ. დანარჩენ 39 თავში მოთხრობილია ღვთის მიერ ებრაელი ხალხის გამორჩევისა და მათი მამამთავრების ცხოვრების შესახებ.

მეცნიერების განვითარების საწყის ეტაპზე მკვლევარებს ბიბლიური ისტორიები დაუფერებლად მიაჩნდათ. თანამედროვე ფიზიკოსები, გეოლოგები, გეოგრაფები, ისტორიკოსები, არქეოლოგები, ენათმეცნიერები და სხვა სამეცნიეროდ დარგის წარმომადგენლები ბიბლიაში მოთხრობილი ამბების სულ უფრო მეტ დამადასტურებელ მასალას პოულობენ. რაც უფრო ღრმად იძიებენ მეცნიერები კაცობრიობის ისტორიას, მით უფრო საჭირო ხდება სხვადასხვა დარგის სპეციალისტებისათვის ამ უძველესი წიგნის ღრმა და საფუძვლიანი შესწავლა.

რუბრიკას უძღვება როლანდ ჩხეიძე

ინფორმაცია

„SOS – ჩვენ ვიცავთ ბუნებას“

მსოფლიოში უამრავი საფრთხე არსებობს, ერთ-ერთი მთავარი გარემოს დეგრადაციაა, რომელიც მრავალი ფორმით გამოიხატება, მათ შორისაა გაუდაბნოება, ტყეების განადგურება, სახეობათა გადაშენება, დაბინძურება... ყოველივე ამას ადამიანი სწადის და სწორედ მას ევალება პასუხისმგებლობაცა და უკვე გაფუჭებული საქმის დროულად გამოსწორება, რათა შემდგომში სავალალო შედეგებამდე არ მივიდეთ.

წელს, პოლონეთის ქალაქ ტორუნში, დაგეგმილი ბავშვთა და ახალგაზრდების XV საერთაშორისო კონკურსი სახვით ხელოვნებაში სწორედ ამ თემატიკას მიეძღვნა. მასში მონაწილეობა თბილისის 103-ე საჯარო სკოლამაც მიიღო (დირექტორი – მარინა გოგოლაძე). სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კათედრის ინიციატივით (ხელმძღვანელი – ლია ცანავა), კონკურსში ჩაებნენ მოსწავლეები: ნატალია პეტროვა (VI^ბ კლ.), ლაზარე დიაკონიძე (VI^ა კლ.), გიორგი დიაკონიძე (V^ბ კლ.), ნონა ითაშვილი (VIII^ა კლ.), სალომე ვეფხვაძე (VI^ბ კლ.), ვასიკო მისურაძე (VI^ბ კლ.), მარი ჭილაძე (V^ა კლ.) და ლერი ნიქარაშვილი (VI^ბ კლ.).

სკოლაში, ნამუშევრების პრეზენტაციაზე,



ბავშვებმა წარმოადგინეს საკუთარი თვალით დანახული გარემო, რომელსაც შეეცა სჭირდება. პროექტის ორმა მონაწილემ – მარი ჭილაძემ და სალომე ვეფხვაძემ, ნახატებთან ერთად, თავიანთი გულისტკივილი პროზაული და პოეტური სტრიქონებითაც გადმოცეს. სალომემ პატარა მოთხრობაში ხის მჭრელებისა და პროტესტის გრძობით შეპყრობილი მოსახლეობის განცდები გადმოგვცა: „მგონი, მალე სოკოს საკრეფადაც ვეღარ წავალთ. ეჰ, ყველა ერთად რომ მოვიწოდებდეთ, სულ კუდიტ ქვას ვასროლინებდით მაგათა“. ხოლო მარი ჭილაძემ საზოგადოებას ასე მიმართა:

„დროა, უკვე გონს მოვგოს, დროა, უკვე გამოფხიზლდეს, ღმერთის მიერ შექმნილ მინას ხალხი უნდა გაუფრთხილდეს.“

იმედი გვაქვს, 103-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებს კონკურსში მონაწილეობა წარმატებებს მოუტანს.

სოფო ცუხიშვილი
X^ა კლასი

იუბილეა

სასიამოვნო სიურპრიზი

53-ე საჯარო სკოლას საუკუნის ისტორია აქვს. აქ ვერის უბნის საზოგადოების თაობები აღიზარდნენ - მამები, დედები, შვილები, შვილიშვილები - ისინი, ვინც დღეს ჩვენი ქვეყნის კულტურის, მეცნიერებისა და პოლიტიკის საუკეთესო ნაწილს წარმოადგენენ. სკოლაში, სხვადასხვა დროს, სწავლობდნენ: კოტე ჩოლოყაშვილი, გიზო ნიშნიანიძე, ნიაზ დიასამიძე (უფროსი), ლადო ალექსი-მესხიშვილი, დათო მალრაძე, გეგა კობახიძე, ირაკლი ჩარკვიანი, ირაკლი კოსტავა...



ჩვენი სკოლა ყოველთვის გამორჩეული იყო ტრადიციებით, წესებით, არასტანდარტული რეფორმებით, რომლებიც წინ უსწრებდა დროს, ასევე, სწავლების მეთოდებით, რომლებიც დღეს, როგორც სიასხლე, ინერგება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში. 53-ე სკოლას სათავეში ყოველთვის ლეგენდარული დირექტორები ედგნენ - ანდრო მჭედლიძე, ლამარა მარგველაშვილი, ასევე ტრადიციულად, ლირსეული პედაგოგები ასწავლიდნენ. მათ შორის გამორჩეულია ქალბატონი ნათელა სიტხანავა, რომელიც 43 წელია ამ სკოლაში თაობების აღზრდას ემსახურება. მას დღეს 70 წელი შეუსრულდა და მისმა მოსწავლეებმა გადანიშნეს, ეს დღე ქალბატონი ნათელასთვის დაუვიწყარი ყოფილიყო. ღონისძიება სკოლის ბიბლიოთეკის დიდ დარბაზში გაიმართა.

ქალბატონ ნათელას სასიამოვნო სიურპრიზი ელოდა - 70 ანთებული სანთლით შეეგებნენ მოსწავლეები. დარბაზში ელოდნენ მისი კოლეგები - გამოჩენილი პედაგოგები და ყოფილი მოსწავლეები, რომლებიც მის სადამრიგებლო კლასებში სწავლობდნენ და დღემდე ამით ამყობენ. ქალბატონ ნათელას იუბილე მიულოცა სკოლის ამჟამინდელმა დირექტორმა, გიორგი კაშიამ მინისტრის მიერ გამოგზავნილი მადლობის წერილი წაუკითხა და დიდი თავიანთი მთავარი. ამ დროს დარბაზში

ფლერდა შოთა მილორაშვილი სიმღერა „მასწავლებელი“, რომელიც, ტექსტის ავტორმა, იოსებ ნონეშვილმა თავის სათაყვანებელ აღმზრდელს, ლეგენდარულ პედაგოგს, ვარო ვარდიაშვილს მიუძღვნა. ამის შემდეგ პედაგოგ ნათია ფიცხელაშვილმა მოსწავლეებმა (მეორეკლასელებმა) მცირე მონტაჟი წარმოადგინეს და იგივე ლექსი წაუკითხეს იუბილარს. დარბაზი ემოციას ვერ მალავდა. ქალბატონი ნათელა კი სასიამოვნოდ იყო გაოცებული. ამაგდარ პედაგოგს მიულოცეს ყოფილმა მოსწავლეებმა: თამარ და ბასა ფიცხელაშვილებმა.

სიყვარულით გაიხსენეს 53-ე სკოლაში გატარებული წლები და დასძინეს, რომ დღეს მათი შვილებიც ქალბატონ ნათელას მოსწავლეები არიან; ეკა მამალაძემ და მისმა ვაჟიშვილმა; გუგა ჩრეულიშვილმა და მისმა თანაკლასელებმა; მათა ზოდელავამ და მისმა მეგობრებმა... ისინი ქალბატონ ნათელას ამგვარ სენებდნენ და თბილი სიტყვებით ეფერებოდნენ მას. სხვადასხვა კლასის მოსწავლეები საკუთარი შემოქმედებით წარსდგნენ სტუმრების წინაშე, აფლერდა საგალობლები. მონვეულ სტუმრებს შორის იყვნენ ის პედაგოგები, რომლებიც 40-50 წლის განმავლობაში ნათელა სიტხანავას გვერდით ქმნიდნენ სკოლის ისტორიას - ნატა თამაზაშვილი, ზაირა ჩრეულიშვილი, გულიკო ბეშიძე, დოდო ვახვაშვილი, ნინო ჩაჩავა და სხვ.

ეს დღე ნამდვილ დღესასწაულად იქცა. არ მოუშალოს საქართველოს პედაგოგთა არმიას ქალბატონ ნათელასწიერი ღირსეული აღმზრდელები. მათა ზოდელავამ და მისმა მეგობრებმა... ისინი ქალბატონ ნათელას ამგვარ სენებდნენ და თბილი სიტყვებით ეფერებოდნენ მას. სხვადასხვა კლასის მოსწავლეები საკუთარი შემოქმედებით წარსდგნენ სტუმრების წინაშე, აფლერდა საგალობლები. მონვეულ სტუმრებს შორის იყვნენ ის პედაგოგები, რომლებიც 40-50 წლის განმავლობაში ნათელა სიტხანავას გვერდით ქმნიდნენ სკოლის ისტორიას - ნატა თამაზაშვილი, ზაირა ჩრეულიშვილი, გულიკო ბეშიძე, დოდო ვახვაშვილი, ნინო ჩაჩავა და სხვ.

მაია ბოლქვაძე 53-ე საჯარო სკოლის ხელოვნების მასწავლებელი

კვირული

„მიყვარს სამშობლოს მე ტკბილი ენა“



ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ არლის საჯარო სკოლაში (დირექტორი მარო ჩხიტუნიძე) პროექტი - „მიყვარს სამშობლოს მე ტკბილი ენა“ - განხორციელდა დაწყებითი კლასების კათედრის გამგის, ინგა კაჭკაჭაშვილის მიერ, რომელიც მრავალი საინტერესო ინიციატივისა თუ ღონისძიების ავტორია. პროექტის ფარგლებში, დამზადდა საინფორმაციო ბუკლეტები, ჩატარდა საინტერესო კვირეული, რომელიც დედაენის დღეს მიეძღვნა. ეს კვირა მთლიანად სამშობლოს სიყვარულით იყო გასული. კვირეულის პირველ დღეს ჩატარდა რიგითი შეხვეტი, უკვე ტრადიციად ქცეული, კალიგრაფიის დათვალიერება-კონკურსი, რომელიც დედაენის დღეს მიეძღვნა. დათვალიერება-კონკურსი გახსნა ინგა კაჭკაჭაშვილმა. მან ისაუბრა ღონისძიების აღმზრდელით და ეროვნულ მნიშვნელობაზე, გაიხსენა ის დღის მამულოშვილები და კალიგრაფიის ტექნიკა, რომელთა სახელებიც ისტორიამ შემოგვინახა. კონკურსში 50 მოსწავლე მონაწილეობდა. საუკეთესო ნაწარის ავტორები სიგელებით დაჯილდოვდნენ.

დათვალიერება-კონკურსი ქართული ენისა და ქართული სულიერების კიდევ ერთ ჭეშმარიტ ზეიმად იქცა. ამ დღის აღსანიშნავად დაწყებითი კლასის მოსწავლეებმა გამოუშვეს კედლის გაზეთის სპეციალური ნომერი, სადაც საკუთარი ლექსები, თხზულებები და საინტერესო ინფორმაციები გამოაქვეყნეს. კვირეულის მეორე დღეს მოეწყო კონკურსი - „ეკითხულობთ რუსთაველს“ - მხატვრული კითხვის ოსტატების გამოსავლენად. კონკურსის მონაწილეები ერთმანეთს ენაცვლებოდნენ უკვდავი სტრიქონების დეკლამირებაში, სამსახიობო უნარ-ჩვევების წარმოდგენასა და პოემის უკეთ გააზრებაში. ფიურის ნევრები გაოცებული იყვნენ პატარებით, რომელთა მიზანი რუსთაველის პოემის რაც შეიძლება ხატოვნად წაკითხვა იყო. ღონისძიების ბოლოს გამოვლინდნენ მხატვრული კითხვის საუკეთესო ოსტატები. მესამე დღეს ჩატარდა ინტელექტუალური თამაში - „ყველაზე ჭკვიანი“, რომელსაც წინ უძღოდა შესარჩევი ტური. თავდაპირველად, შეჯიბრებაში კლასის ყველა მოსწავლე მონაწილეობდა, ფინალში გავიდა

თითოეული კლასიდან ოთხი მაღალქულიანი მოსწავლე, ანუ თამაშში მონაწილეობდა ოთხი მეორეკლასელი, ოთხი მესამეკლასელი და ოთხი მეოთხეკლასელი. ფინალი დაძაბული და ამაღლებული იყო. ბავშვები ემოციებს ვერ ფარავდნენ. ღონისძიებას ესწრებოდნენ მშობლები, მასწავლებლები და მოსწავლეები. ბოლოს გამოვლინდა „ყველაზე ჭკვიანი“ სამი მოსწავლე, ესენი არიან: თემურ ფეიქრიშვილი (II კლ.), გიორგი ვარდიძე (III კლ.), ნათია ფეიქრიშვილი (IV კლ.), რომელთაც გადაეცათ სამახსოვრო საჩუქრები. ეს მოსწავლეები შეხვდებიან მეზობელი სკოლის ინტელექტუალებს. მეოთხე დღეს ჩატარდა საინტერესო სამოძებლო გაკვეთილი მშობლიურ ენაში (III კლასი, მასწავლებელი - ლალი ბათინაშვილი). პედაგოგმა აღნიშნა, რომ ყოველი ადამიანი ცალკე ინდივიდია, ამდენად, სასწავლო პროცესი, ამა თუ იმ პედაგოგის შემთხვევაში, ფრიად საინტერესო და განსხვავებულია. კოლეგებთან კონტაქტი დადებითად მოქმედებს პედაგოგის პროფესიულ განვითარებაზე და მისი მუშაობის აუცილებელი შემადგენელი კომპონენტია.

ჩატარდა ინტეგრირებული სამოძებლო გაკვეთილი II კლასში (მასწავლებელი - ინგა კაჭკაჭაშვილი). საგნები - ქართული და ბუნება, გაკვეთილის თემა „ჩემი სამშობლო“. ინგა კაჭკაჭაშვილი: „არაჩვეულებრივი გრძობაა, როდესაც გამოცდილებას უზიარებ სხვას და გინონებენ, გეთანხმებიან. პროექტის განხორციელებამ ხელი შეუწყო სწავლებისა და სწავლის ახალი მიდგომების დაწერვას, მოტივაციის ამაღლებას, კვანძი შეიკრა: კვლევა-ძიება, ინფორმაციის მოპოვება, მოტივირებული გაკვეთილი - აი, პროექტის რეალური შედეგი.“ კვირეულის მეხუთე დღე დაემთხვა დედაენის საერთაშორისო დღეს, რომელიც საინტერესოდ წარმოგვითხრობს. ეს დღე ღონისძიებათა კომპლექსით აღინიშნა: ჩატარდა აქცია - „დედაენა ჩვენი სახლია“, ბავშვებმა ნახეს ფილმი „ჩვენი ეზოს ამბები“, სერია - „ვინ დაყარა?“. ფილმის განხილვისა და მსჯელობის შემდეგ, გადანიშნეს დაესუფთავებინათ ეზო, ანუ დედაენა, რომელიც შველას ითხოვს, რადგან

„დედაენა ნაგავი იძირება.“ კვირეულის ბოლო აკორდი იყო ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია თემაზე: „ო, ენა ჩემო“, მეორეკლასელების მონაწილეობით; ბავშვებმა კიდევ ერთხელ გაიხსენეს 1978 წლის 14 აპრილი. წაიკითხეს ლექსები ქართულ ენაზე, მადლობა გადაუხადეს ძია იაკობს, რომ ასეთი მემკვიდრეობა დაგვიტოვა და დადეს ფიცი, რომ „დედა ენას ჭაღარა ვერ მოერევა, ბერმუხასავით ძლიერი და ფესვებდაგმული იქნება ქართველი კაცის გულსა და გონებაში.“ ღონისძიების ბოლოს სკოლის დირექტორმა, მარო ჩხიტუნიძემ, მადლობა გადაუხადა კვირეულის ორგანიზატორს, ინგა კაჭკაჭაშვილს და მოსწავლეებს, რომლებმაც ასეთი ლამაზი დღეები გვაჩუქეს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ჩვენი მასწავლებლების ფასდაუდებელი შრომის აღიარება მშობლებთან ერთად, რომლებიც აქტიურად იყვნენ ჩართულნი კვირეულში. ნინო კაჭკაჭაშვილი არლის საჯარო სკოლის მასწავლებელი

ერთი დღე სკოლის სხოვრებაში

თბილისის 178-ე საჯარო სკოლაში ღია კარის დღეს ერთი მიზანი ჰქონდა – მჭიდრო კონტაქტი თემთან, ქსელურ სკოლებთან, „პრეზიდენტის სტიპენდიანტთა კლუბთან“. სკოლის მასწავლებლებს სურდათ გამოცდილება კოლეგებისთვის გაეზიარებინათ.

სკოლაში მოსულ სტუმრებს მოსწავლეები ბუკლეტებით ეგებებოდნენ. ეს ერთგვარი გზამკვლევი იყო – სტუმარს საშუალება ჰქონდა, თავად ამოერჩია მისთვის სასურველ რომელ გაკვეთილს თუ ლონისძიებას დასწრებოდა. არჩევანი მართლაც დიდი იყო. ყველა საგნის მასწავლებელი იზოვიდა თავისთვის საინტერესოს.

პირველ გაკვეთილზე ხელოვნების მასწავლებელმა მიიღო სტუმრები. გაკვეთილის თემა იყო – „გზა თანამედროვე ხელოვნებისკენ“. **ირმა კელაპტრიშვილი** მოსწავლეები 4 ჯგუფად დაჰყო. თემებიც საინტერესო მიაჩნდა. მოსწავლეებს უნდა შეეჯამებინათ სხვადასხვა ეპოქა. ერთს აღმოსავლური ხელოვნება შეხვდა, მეორეს – მიქელანჯელოს შემოქმედება, მესამეს – ძველი ქართული ნიგნის ილუსტრაციები, მეოთხეს – ლეონარდო და ვინჩის შემოქმედება. ჯგუფებმა კომპიუტერებთან იმუშავეს და თავიანთი ხედავა წარმოადგინეს მოცემული დავალებების ირგვლივ. გაკვეთილმა დიდი მოწონება დაიმსახურა.

მეორე გაკვეთილზე სტუმრები ჰყავდათ დაწყებითი კლასის მასწავლებლებს – **ირინე ჩიტაძესა** (მათემატიკა) და **ირმა თანდილაშვილს** (ქართული ენა). პირველკლასელები სტუმრებმა არ დააბნია, პირობით, ხალისით იმუშავეს. ერთმა კლასმა ოცის ფარგლებში მათემატიკური მოქმედებების კარგი ცოდნა გამოამჟღავნა, მეორემ – ნელინადის დროების სათანადოდ წარმოდგენა-დახასიათება შეძლო. უნდა აღინიშნოს, რომ ეს იყო თანამედროვე მეთოდებზე აგებული გაკვეთილები, ამიტომაც განწყობა, მოტივაცია, ინტეგრირება და სხვა აქტივობები გაკვეთილს მიზანმიმართულსა და საინტერესოს ხდიდა.

მესამე გაკვეთილზე იმატა სტუმრების რიცხვმა. განსაკუთრებით ინტეგრირებულმა გაკვეთილმა მიიქცია ყურადღება. **მეგი იაკობაშვილი** (მათემატიკა) და **მზია კელაპტრიშვილი** (მუსიკა) დამსწრეებს ინტეგრირებული გაკვეთილი შესთავაზეს – მათემატიკური კანონზომიერებანი მუსიკაში. მეცხრეკლასელებმა და მასწავლებლებმა დამსწრენი თავიანთი აღმოჩენებით განაცვიფრეს.



სტუმართა ნაწილი მესამეკლასელებს სტუმრობდა. მასწავლებელმა **მერი კაკრიანიძე** და მისმა აღსაზრდელებმა სასკოლო პროექტის „13 ასურელი მამის კვლადაკვალ“ (პროექტის ხელმძღვანელი – დირექტორის მოადგილე **ნანა მოსემიანი**) ფარგლებში, წარმოადგინეს ღირსი მამა ანტონ მარტყოფელის ცხოვრება და მოღვაწეობა. მოსწავლეების მიერ გადაღებულმა ვიდეო-ფილმმა ყველა აღტაცებაში მოიყვანა. ბავშვები დახვეწილი გამართული ქართული წარმოდგენდნენ ამ წმინდანის ცხოვრებას. პრეზენტაციამ დიდი მოწონება დაიმსახურა.

მეოთხე კლასში ახალი მეთოდებით აგებული გაკვეთილები აჩვენეს სტუმრებს პედაგოგმა **მაია გერლიანმა**, გაკვეთილის თემა – ოჯახი (საგანი – ტოლერანტობა), ბიოლოგიის მასწავლებელმა, **ნანა ცხადიაშვილი**, თემა – „ტყის ბიოეკოლოგია“, მშობლებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ პროექტი ნამდვილად საინტერესოა და ისურვეს, გავრცელდეს ქსელურ სკოლებში. მეხუთე გაკვეთილზე, მეორე-

მეტე კლასში, ფრანგული ენის მასწავლებელი **დალი დათინაშვილი** და მისი მოსწავლეები ლამაზ ნუთებს ჩუქნიდნენ დამსწრეთ – სიყვარული ფრანგულად და ქართულად. ბავშვები კითხულობდნენ გამოჩენილ ადამიანთა პირად სასიყვარულო წერილებს ქართულ და ფრანგულ ენებზე. ეს იყო სინაზით სავსე გაკვეთილი და ამიტომაც გულგრილი არავინ დარჩენილა. მეექვსე გაკვეთილზე ისტორიის კაბინეტში გადაინაცვლეს სტუმრებმა. მეცხრეკლასელებს ისტორიის სახელმძღვანელოს ავტორი, ქალბატონი **თამარ მალაზონია** ჰყავდათ მოწვეული. თემა ფრანგული საინტერესო იყო – „ბედის ზვირთებზე დაქვანობით, ვით ნაფოტე“ – გიორგი სააკაძე. ბუნებრივია, გიორგი სააკაძის პიროვნება დიდ ინტერესს იწვევს საზოგადოებაში. ამიტომაც მისი ბიოგრაფიის ცხოვრების შესახებ დებატები შემოგვთავაზეს ქალბატონმა **ლია ჯანაშიამ** და მისმა მოსწავლეებმა. დებატები ერთობ საინტერესოდ წარიმართა. მოსწავლეები კარგად ფლობდნენ დებატების წარმართვის ხელოვნებას. მათ მასწავლებლის მიერ დასმული კითხვები ეხმარებოდათ ემსჯელათ, ეკამათათ, თავისუფლად წარმოედგინათ თავიანთი მოსაზრება, გაეკეთებინათ დასკვნა. ბავ-

შეები მოხერხებულად იყენებდნენ არგუმენტებს სხვადასხვა წყაროებიდან, რაც გაკვეთილს აკადემიურობას მატებდა. დებატებში აქტიურად ჩაებნენ დამსწრე მასწავლებლები, ისტორიკოსები, რომლებიც მოსწავლეთა აზროვნებით აღფრთოვანებულნი დარჩნენ. გაკვეთილის ბოლოს ქალბატონმა **თამარ მალაზონიამ** სახელმძღვანელოსთან დაკავშირებულ მოსწავლეთა შეკითხვებს უპასუხა. მან დადებითად შეაფასა გაკვეთილი და ისურვა, რომ ავტორებთან ასეთი შეხვედრები მომავალშიც გაიმართოს.

მეექვსე გაკვეთილზე დირექტორის მოადგილე, ქალბატონი **ნანა ლაბაძე** VII-კლასელებთან ატარებდა ღია გაკვეთილს თემაზე „ჟანგბადი და წყალი“. ეს იყო დამატებითი გაკვეთილი როლური თამაშებით. შემდეგ მოეწყო კონკურსი ძირითად საყოფაცხოვრებო ნივთიერებებს შორის. ბავშვებმა კარგად მოიხილეს როლები, ამიტომაც სკოლის დირექტორმა, ქალბატონმა **მანანა სამხარაძემ** ნივთებით დააჯილდოვა წყლისა და ჟანგბადის როლების შემსრულებლები. გაკვეთილი სახალისო იყო და დამსწრეთა დიდი მოწონება დაიმსახურა.

მეექვსე გაკვეთილზე ჩატარდა ლონისძიება მათემატიკური რეიტინგი – შეჯამება (პედაგოგები: **დორო თხელიძე**, **თამარ კამკამიძე** და **ციცია დავითაშვილი**) VIII-კლასელებმა მათემატიკის ცოდნით გამოიჩინეს თავი. გამოვლენად საუკეთესო გუნდური ნაკრები.

სააქტო დარბაზში კი მესამე კლასი (მასწავლებლები – **ია ნიკოლაური**, **ხათუნა არველიძე** და **ბადრი მიქაძე**) ლამაზ ღონისძიებას სთავაზობდა სტუმრებს – „ყველაფერი სიყვარულით იწყება“ – ეს იყო მუსიკალური კომპოზიცია. ლექსებს სიმღერები ცვლიდა, სიმღერებს – ცეკვები, მაგრამ ყველაზე ამაღლებელი დედა-შვილის, **მარინე** და **თემო კახანაძეების** ნამღერი „დედა-შვილობა“ იყო. მისაბაძია მშობლთა ჩართულობა არა მარტო ამ ღონისძიებაში, არამედ ამ დღის მომზადებაში, ასევე დასწრება-დათვალიერებაში. მათი ემოციები აისახა შთაბეჭდილებების ნიგნში.

ფიზკულტურის დარბაზში კი ამ დროს „მზიარული სტარტების“ გამო მოსწავლეთა ჟრიალული ცას სწევდებოდა (მასწავლებელი – **ლელა ხარატიძე**). ეჯიბრებოდნენ პარალელური V კლასების მოსწავლეები. დაძაბული ორთაბრძოლა V² კლასის გამარჯვებით დამთავრდა. ამ დღეს სკოლის ფოიეში საქველმოქმედო აქციაც გაიმართა დევიზით: „დავეხმაროთ სკოლის ბიბლიოთეკას“. მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა საკუთარი ნაშუქვრების გამოფენა-გაყიდვა მოაწყვეს (მასწავლებელი – **ნანა ხატიაშვილი**). შემოსული თანხა ბიბლიოთეკის ფონდის გამდიდრებას მოხმარდება. სტუმრები კმაყოფილნი ტოვებდნენ სკოლას. შინაარსიანი დღისათვის მადლობას უხდოდნენ ღია კარის დღის ინიციატორებსა და სკოლის დირექტორს ქალბატონ მანანა სამხარაძეს, დირექტორის მოადგილეებს – ნანა ლაბაძესა და ნანა მოსემიანს.

მარინა პინიძი



მიიქძვნა ილია ვეკუას იუზილეს

30 აპრილს, გაკვეთილების შემდეგ, აფხაზეთის №1 საჯარო სკოლაში ორსაათიანი ღონისძიება – **გუნდური მათემატიკური ჭიდილი ჩატარდა**, რომელიც ქართველი მათემატიკოსის, აკადემიკოს **ილია ნესტორის ძე ვეკუას** იუბილეს მიეძღვნა. მონაწილეობდნენ V და VI კლასის მოსწავლეები. თითო გუნდი 6 მოსწავლისგან შედგებოდა. V კლასის გუნდის სახელწოდება იყო „**კენტები**“, ხოლო VI კლასისა – „**ლუნები**“. მოსწავლეებს 6 სხვადასხვა ტიპისა და ხარისხის ამოცანა (დავალება) მიეცა. ესწრებოდნენ მონაწილე მოსწავლეების მშობლები და მასწავლებლები.

სტუმრები გაეცნენ **ილია ნესტორის ძე ვეკუას** ბიოგრაფიას. ყველა ამოცანა 2 ქულით ფასდებოდა. ჟიურის წევრები იყვნენ: მათემატიკის კათედრის გამგე, ქალბატონი **ჯულიეტა ჭანტურია**, მათემატიკის პედაგოგები, ქალბატონები: **ნათელა საჯაია** და **ზიტა ჯიქია**. ღონისძიება შემდეგნაირად წარიმართა: გუნდმა „**ლუნები**“ გამოიწვია მეორე გუნდის – „**კენტების**“ წარმომადგენელი, რომელიც მომხსენებელი იყო, ოპონენტი კი – გამომწვევი გუნდის მონაწილე; ერთი და იმავე ამოცანაზე კამათი გაიმართა. ჟიურიმ წყვილების გამოსვლა სათანადოდ შეაფასა. ასპა-

რეზობის 45 წუთის შემდეგ გამოცხადდა მუსიკალური პაუზა და მოსწავლეებს განტვირთვის საშუალება მიეცათ. გამარჯვება გუნდმა „**ლუნები**“. შეჯამების მიზნით, ყველა მონაწილემ შეავსო T სქემა (დრო – 5 წთ.) – რა დაგეხმარათ ამოცანის ამოხსნაში: ცოდნა, გავლელი მასალის ყოველდღიური ვარჯიში, ამოცანის პირობის ყურადღებით გაცნობა; რა არის საჭირო დისკუსიის უკეთ წარმართვისათვის: მონდომება, ყურადღებით მოსმენა, გამარჯვების რწმენა, სწავლა და შრომა...

ასამთ შამუშია

საუკეთესო პროექტების გამოფენა

მაისის დასაწყისში, ქუთაისის №17 სკოლაში (დირექტორი ირინე ჯგერენია), ტრადიციულად, ღია კარის დღე გაიმართა.

ეროვნული სასწავლო გეგმის შენარჩუნების მიზნით მოწოდებული კათედრების - ქართული ენისა და ლიტერატურის (თავმჯდომარე - ნანა ხაჭაპურიძე); მათემატიკის (თავმჯდომარე - მარინე თურქაძე); საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა (თავმჯდომარე - ეკა მურუსიძე); საზოგადოებრივ მეცნიერებათა (თავმჯდომარე - მაცა ბარბაქაძე); ფიზიკური აღზრდისა და ესთეტიკის (თავმჯდომარე - ნუნუ სენიაშვილი); უცხო ენების (თავმჯდომარე - მარინე ნაცვლიშვილი); დაწყებითების (თავმჯდომარე - ნანა მესხაძე) - ნამუშევართა გამოფენა-დათვალიერება. კათედრებმა წარმოადგინეს 2008-2009 სასწავლო წლის განმავლობაში განხორციელებული პროექტები, ღია ინტეგრირებული და ინტერაქტიული გაკვეთილების გეგმები, მასწავლებელთა და მოსწავლეთა პორტფოლიოები, კათედრების სამუშაო გეგმები, თვალსაჩინოებები, საგაკვეთილო პროცესში გამოყენებული სხვადასხვა ტიპის რესურსები. დაინტერესებული პირებისათვის ნამუშევრების პრეზენტაციას ახდენდნენ პედაგოგები და მოსწავლეები. სტუმრებს, ასევე, მასპინძლობდა სკოლის გახანგრძლივებული ჯგუფის ბაზაზე ჩამოყალიბებული ყვავილების მოყვარულთა კლუბი „კაქტუსი“ (ხელმძღვანელი - ლეილა ბარბაქაძე). სამკითხველო დარბაზში სტუმრებს შეხვედრა მოუწყო შემოქმედთა კლუბმა (ხელმძღვანელები - თამილა ჯავახაძე, ნუნუ სენიაშვილი), მათ წარმოადგინეს მუსიკალური ნომრები, პატარა მხატვართა ნამუშევრები, ჩანახატები. აგრეთვე გაიმართა დიდი რუსი მწერლის - ლევ ტოლსტოის 180 წლის იუბილესადმი მიძღვნილი კონფერენცია (ხელმძღვანელები: ლია ქირია, ირინა კუდრიავევა). აქვე რუსული საზოგადოების თავმჯდომარემ, გიორგი ტრიაშვილმა სკოლის დირექტორს სამასხვოვრო ნიგინა გადსცა.

ღია კარის დღეზე მოსწავლეთა თვითმმართველობამ წლის განმავლობაში განხორციელებული აქტივობები და პროექტები წარმოადგინა, მოსწავლეთა კომპანია „პილიგრიმები“ თიხის ნაწარმის და ხელნაკეთი სამაჯურების გამოფენა-გაყიდვა გამართა.

გამოფენაზე წარმოდგენილ იქნა III¹ (კლასის ხელმძღვანელი - მანანა ორბელიანი), III² (კლასის ხელმძღვანელი - ნინო გერაძე), VIII² (კლასის ხელმძღვანელი - ირინა ადუნიშვილი) და IX¹ (კლასის ხელმ-



ძღვანელი - მარინა ბარბაქაძე) კლასების მიერ განხორციელებული სადამრიგებლო პროექტები. სტუმრები დეტალურად გაეცნენ V¹ კლასის (კლასის ხელმძღვანელი - ნატო კუპრაძე) სამუშაო გეგმას და დაესწრნენ ინგლისური ენისა და მუსიკის ინტეგრირებულ გაკვეთილს III² კლასში (პედაგოგი - ზურაბ მუშუკუდიანი), რომელმაც განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა სტუმრებზე.

ღია კარის დღის შემდეგი ეტაპი იყო შეხვედრის ოფიციალური ნაწილი, რომელიც III³ კლასის (კლასის ხელმძღვანელი - მაცა გიორგაძე) მოსწავლემ, ვალერიან შიუკაშვილის სახელობის კონკურსის ლაურეატმა ელენე სვანაძემ გიოკის პრელუდიების შესრულებით გახსნა.

სკოლის დირექტორმა, ირინე ჯგერენიამ საზოგადოებას წარუდგინა მოწვეული სტუმრები. მან ისაუბრა პარტნიორულ პროექტზე, რუსთავის რუსულენოვან №3 და ქუთაისის №17 საჯარო სკოლებს შორის. რუსთავის №3 საჯარო სკოლის დირექტორი ბექა შათერიშვილი მიესალმა სტუმრებს, სამასხვოვრო საჩუქარი გადასცა სკოლის დირექტორს და №17 საჯარო სკოლა რუსთავში ორდღიანი ვიზიტით მიიწვია.

სტუმრებს, ასევე, მიესალმა რუსთავის №3 საჯარო სკოლის დირექტორის პირველი მოადგილე ვლადიმერ გიორინი, რომელმაც ისაუბრა სკოლების თანამშრომლობის ისტორიაზე. სტუმარმა მოსწავლეთა წარმომადგენელთა კლიბი ელექტრონული ვერსიით.

ქუთაისის №17 საჯარო სკოლის ტრადიციულმა ნამუშევრებმა - XII² კლასის მოსწავლეთა, ბექა გაბადაძემ და თინათინ ბანძელაძემ, XI¹ კლასის მოსწავლემ, რამინ ჯინჭარაძემ მოსწავლეთა და მასწავლებელთა მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო, სამოქალაქო და კულტურული პროექტები წარმოადგინეს.

განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა მესუთეკლასელი თა-

მუნა სიხარულიძის მიერ როიალთან შესრულებულმა ნუნუ გაბუნიას სიმღერამ „თბილისო“ (ხელმძღვანელი - ნუნუ სენიაშვილი).

კვლავ გამოვლინდა წლის „ქალბატონი და ბატონი პროექტი“. „ბატონი პროექტის“ ტიტული შეინარჩუნა XII² კლასის მოსწავლემ, ბექა გაბადაძემ, ხოლო „ქალბატონი პროექტის“ ტიტული ხელოვნების მასწავლებელ თეა სულაბერიძეს მიენიჭა. „ქალბატონი და ბატონი პროექტს“ დაფინანსებები გადასცა სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარემ, ქალბატონმა რუსუდან ქემოკლიძემ.

ნატოს საიუბილეო დღისადმი მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ განხორციელებული პროექტის დამუშავებაში ხელშეწყობისა და თანამშრომლობისათვის ისტორიის მასწავლებელი მანანა ტყემულაშვილი სკოლის დირექციისა და მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ სიგელითა და ნიგნითა დაჯილდოვდა.

IX⁴ კლასის მოსწავლეთა საინტერესოდ წარმოადგინეს ახალი პროექტი „ჩემპიონი“ და დამსწრე საზოგადოებას მსოფლიოსა და ევროპის პრიზორი სამბოში, XII⁴ კლასის მოსწავლე გენადა ღირგაძე გააცნეს, მას მედლები გადასცა ღირსების ორდენის კავალერმა, დამსახურებულმა მწვრთნელმა სამბოში, ქუთაისის მკვიდრმა, გივი სარდანაძემ.

სკოლის კულტურისა და ტრადიციის შესაბამისად, მესამე და მეორე ხარისხის აკადემიურად ნარჩინებული მეთორმეტე კლასის მოსწავლეთა შესაბამისი სიგელებით დაჯილდოვდნენ, ხოლო პირველი ხარისხის ნარჩინებულნი - ნინო თედორაძე (კლასის ხელმძღვანელი - მარგალიტა მამაგვიშვილი), თინათინ ბანძელაძე და ბექა გაბადაძე (კლასის ხელმძღვანელი - ხათუნა ლანჩავა) სკოლის მიერ ექსკლუზიურად დამზადებული მედლებითა და დიპლომებით დაჯილდოვდნენ. მეთორმეტე კლასის მოსწავლეთა-



მა, მადლიერებისა და პატივისცემის ნიშნად, სკოლას ციფრული ვიდეოკამერა უსახსოვრეს.

ღია კარის დღეზე კიდევ ერთ ახალ ტრადიციას ჩაეყარა საფუძველი, წლის საუკეთესო კათედრის გამოსავლენად, დღის დასაწყისში, სტუმრებს შეფასების ფურცლები დაურიგდა. შეჯამების შედეგად (პედსაბჭოს თავმჯდომარე - ხათუნა ლანჩავა) გამოვლენილი გამარჯვებული - საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრა (თავმჯდომარე - ეკა მურუსიძე) სკოლის დირექტორმა გარდამავალი თასით დააჯილდოვა.

ქალბატონმა ირინემ საზოგადოებას ახალგაზრდა მწერალი ზვიად კვარაცხელია წარუდგინა და სტუმრები სამკითხველო დარბაზში, ნიგნის „შაე“ პრეზენტაციაზე მიიწვია. პრეზენტაცია საინტერესოდ წარმართეს რუსთავის №3 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა. გაიმართა დისკუსია, რომელშიც მონაწილეობდნენ: მწერალთა კავშირის თავმჯდომარე თეიმურაზ ლანჩავა და მოადგილე მაცა ცურაშვილი, მწერალი ცირა ყურაშვილი, ზუგდიდის №4 საჯარო სკოლის დირექტორი ხათუნა დარასელია, ქუთაისის №41 საჯარო სკოლის პედაგოგი ლია კუხიანიძე, №17 სკოლის პედაგოგები - ლალი ლანჩავა, მანანა სოსხაძე და მოსწავლეები.

დასასრულს შედგა ექსკურსია, მარშრუტი - ქუთაისი-გელათი-ბაგრატიონის ტაძარი. ექსკურსიას ამ დღისათვის მომზადებული გიდები, X² კლასის მოსწავლეთა - ხატია ყურაშვილი და ნინო გვამბერაძე უძღვებოდნენ.

გთავაზობთ სტუმრების ჩანაწერებს შთაბეჭდილებათა ნიგნით:

გურამ ჭყელიძე, ქუთაისის №3 საჯარო სკოლის V კლასის მოსწავლე: „2009 წლის 3 მაისს მიპატივებული ვიყავი ქუთაისის №17 საჯარო სკოლაში ღია კარის დღეზე. ქალბატონი ირინე ჯგერენიამ მასპინძლობდა რუსთავის №3 საჯარო სკოლას, ასევე იყვნენ მოწვეული სტუმრები. მე პირველად ვიყავი ღია კარის დღეზე, რამაც წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. ამ გამოფენაზე ბევრი საინტერესო რამ გავიგე. განსაკუთრებით ჩემი ყურადღება მიიპყრო სკოლაში არსებულმა ყვავილების მოყვარულთა კლუბმა „კაქტუსმა“. გარდა ამისა, ძალიან მომეწონა სკოლის ბიბლიოთეკა. ყველაფერი ძალიან კარგად იყო ორგანიზებული. ასევე, მომეწონა მესამე კლასის მოსწავლე ელენე სვანაძის მიერ შესრულებული გიოკის პრელუდიები.“

დიდ მადლობას ვუხდით ქალბატონ ირინე ჯგერენიას იმისათვის, რომ მიმიპატივა ღია კარის დღეზე. ვუსურვებ დიდ წარმატებას.“

გიორგი ბენიძე, №17 საჯარო სკოლის XI კლასის მოსწავლე: „მონახარული ვარ რომ ორ სკოლას შორის მეგობრობას ჩაეყარა საფუძველი და ჩვენი სტუმრები დაინტერესდნენ წარმოდგენილი მასალებით.“

ალეკო მაჩალაძე, №17 საჯარო სკოლის X კლასის მოსწავლე: „განსაკუთრებით კმაყოფილი დავრჩით

გელათისა და ბაგრატის ტაძრის სტუმრებთან უთად დათვალიერებით, რადგან ერთ კარგად გავიცანით ერთმანეთი და ემოციები იმდენად ძლიერი იყო, რომ განშორება გავგიძინებდა.“

ვერა გაბიაშვილი, №17 საჯარო სკოლის X კლასის მოსწავლე: „ძალიან მომეწონა ბავშვების ჩვენადმი დამოკიდებულება. მათ დიდი ინტერესი გამოამჟღავნეს პროექტების დათვალიერებისას. ეს დღე განსაკუთრებული იყო ჩემთვის, რადგან ბაგრატის ტაძარში ვიდის მოვალეობა მე და ჩემმა მეგობარმა - დანა გივიშვილმა შევასრულეთ.“

სალომე მორჩიაშვილი, №17 საჯარო სკოლის IX კლასის მოსწავლე: „ჩვენმა სტუმრებმა არა მარტო დათვალიერეს გამოფენა, არამედ დიდი ინტერესი გამოავლინეს თითოეული პროექტისადმი, გაუჩნდათ საინტერესო კითხვები და ჩვენც ვცდილობდით ამომწურავი პასუხები გავეცა.“

სოფიო ფორჩუა, ქუთაისის №7 საჯარო სკოლის X კლასის მოსწავლე: „აღფრთოვანებული ვარ ამ მართლაც არაჩვეულებრივი გამოფენით. დღემდე ვერ წარმომედგინა, მხატვრისა და არქიტექტორის გარდა, სხვა პროფესიის ადამიანს გამოფენის მოწყობა თუ შეეძლო... დიდი ინტერესით მოვდიოდი, მაგრამ ნანახმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.“

ბექა შათერიშვილი, რუსთავის №3 საჯარო სკოლის დირექტორი: „შთაბეჭდილება? სიტყვა არ ეყოფა იმ ემოციებს, რაც ჩვენში გამოიწვიეთ. ეს იყო ზრდაპრული, საოცარი ვიზიტი, დახვედრა თქვენი მხრიდან. ვიმეგობროთ, №17 სკოლავ!“

Владимир Гирини заместитель директора Руставской публичной русской школы №3: „Мы гости - делегация школы №3 г.Рустави выражаем большую благодарность коллективу школы и Великому Кутаисиру. Сегодн мы увидели счастливо школу №17 во главе с директором Ириной - лучша школа Кутаиси. Так держатесь!“

მარინე უკლება

P.S. ნათქვამია, გავიხსენო ნანახი სკოლის. №17 სკოლაში ღია კარის დღეზე დასწრებამ კიდევ ერთხელ დამარწმუნა ამ ფრაზის ჭეშმარიტებაში. პირველად უფროსად „მასწავლებელში“ (№1 01.01.2009 წ) გავეცანი სტატიას ამ სკოლის შესახებ, ჩემი ყურადღება მიიქცია ლეონი - „ქალბატონი და ბატონი პროექტი“... მაგრამ ეს, თურმე, არაფერი ყოფილა იმ დიდ და საინტერესო მუშაობასთან, რაც ამჟამად ვიხილავ სკოლის მიერ განხორციელებული პროექტების სახით. მაისის დასასრულს ქუთაისელ მოსწავლეებს რუსთავში ელოდებიან...“



მათემატიკა

ბიოლოგიის გაკვეთილი. VII კლასი

გაკვეთილის თემა: ეკოსისტემების ბიოტური ფაქტორები.


გაკვეთილის მიზანი: მოსწავლემ შეძლოს ეკოსისტემაში არსებული ბიოტური ფაქტორების დახასიათება (მტაცებლობა, სიმბიოზი, კონკურენცია, პარაზიტოზი), მოიყვანოს შესაბამისი მაგალითები, იმსჯელოს ორგანიზმთა შეგუებულობების შესახებ.

გამოყენებული მასალა: თაბახის ფურცლები, სურათები, ცხრილი, სქემა

გაკვეთილის დრო: 45 წუთი.

გაკვეთილის მსვლელობა:

კლასს მიემართავ, რომ ეკოსისტემაში ცოცხალ ორგანიზმებს შორის გარკვეული ურთიერთობები ჩამოყალიბდა. ორგანიზმები ეკოსისტემაში ერთმანეთზე არიან დამოკიდებულნი. ორგანიზმთა თანაცხოვრება ზოგჯერ ურთიერთსასარგებლოა, სხვა შემთხვევებში კი, ერთი ორგანიზმი იყენებს და ანადგურებს სხვას (1 ნთ.). დაფაზე ვკიდებ სქემას:



ვინცერთ თითოეული კოპონენტის განხილვას.

მოსწავლეებს ვკითხავ, თუ როგორ ესმით სიტყვა „კონკურენცია“, ვთხოვ, მოიყვანონ მაგალითები ადამიანების ცხოვრებიდან, იმსჯელონ, თუ როგორ ვლინდება ანალოგიური პროცესი ცოცხალ ორგანიზმებში. იმართება დისკუსია (2 ნთ.).

მივდივართ დასკვნამდე, რომ ერთ სასიცოცხლო გარემოში მცხოვრებ ორგანიზმებს ხშირად სჭირდება ერთნაირი პირობები: საკვები, ტერიტორია, თავშესაფარი, მზის სინათლე და სხვ.

კონკურენცია ორი სახისაა – შიდასახეობრივი და სახეობათშორისი. როგორც წესი, კონკურენცია ორივე მონაწილე

ორგანიზმისთვის საზიანოა. შემდეგ კლასს დავყოფ ჯგუფებად და ვთხოვ, მოიყვანონ ორივე სახის კონკურენციის სამსამი მაგალითი (5 ნთ.).

პრეზენტაციები (6 ნთ.).

პრეზენტაციების შემდეგ მოსწავლეებს ვეტიყვი, რომ ეკოსისტემაში ორგანიზმებს შორის არსებობს ურთიერთსასარგებლო ურთიერთობებიც, რომელიც სიმბიოზის სახელწოდებითაა ცნობილი. სიმბიოზის შედეგად მასში მონაწილე ორგანიზმები სარგებელს იღებენ. მაგალითად, კოდალა და ხემცენარე. კოდალა ხემცი დაძალად მწერებს პოულობს და მათი იკვებება, ხოლო ხე თავისუფლდება მწერებისგან, რომლებიც მას აზიანებენ; კიბო-განდევილი ზურგით აქტინიას ატარებს, ამ შემთხვევაში კიბო უკეთესადაა დაცული, რადგანაც აქტინიას მსუსხავ საცეცებს მტაცებლები ერიდებიან, აქტინია კიბოს მეშვეობით გადაადგილდება და კიბოს საჭმლის ნარჩენებით იკვებება. სიმბიოზი სხვადასხვა სახეობის ორგანიზმების ურთიერთსასარგებლო თანაცხოვრებაა. სიმბიოზის ჩამოყალიბება შესაძლებელია ცხოველსა და მცენარეს, ცხოველსა და ცხოველს, მცენარესა და სოკოს შორის (2 ნთ.).

შემდეგ მოსწავლეებს ვთხოვ, მოიყვანონ შესაბამისი მაგალითები (3 ნთ.).

საუბრის შემდეგ ვინცერთ მტაცებლობის განხილვას. ურთიერთობა მტაცებელი-მსხვერპლი ფართოდაა გავრცელებული ბუნებაში. ამ შემთხვევაში, ერთი ორგანიზმი მეორეს იყენებს საკვებად, რასაც, რა თქმა უნდა, მსხვერპლის დაღუპვა მოსდევს. ცხოველებს და მცენარეებს, რომლებიც სხვა ორგანიზმებით იკვებებიან, გააჩნიათ შეგუებულობები, რომლებიც მათ მსხვერპლის დაჭერასა და მოკვლაში ეხმარება. როგორც წესი, მტაცებელი მსხვერპლზე ძლიერია, თუმცა მტაცებელთა მსხვერპლსაც აქვს გარკვეული შეგუებულობანი, რომლებიც თავის გადარჩენაში ეხმარება (2 ნთ.).

შემდეგ მოსწავლეებს ჯგუფებში დავურიგებ მტაცებლების და მსხვერპლის ორ-ორ სურათს და ვთხოვ, აღწერონ ეს ორგანიზმები, ჩამოთვალონ ამ ორგანიზმთა შეგუებულობანი, მათი სტატუსიდან გამომდინარე (4 ნთ.).

პრეზენტაციები (7 ნთ.).

მივდივართ დასკვნამდე, რომ მტაცებლებს აქვთ ბრწყინვალე, მძლავრი ალესილი კბილები, ძლიერი ნისკარტი, ნადირობის ტექნიკა, კარგი ყნოსვა და მხედველობა. მსხვერპლს, თავის მხრივ, შეუძლია სწრაფი სიბრძნე, აქვს მფარველობითი შეფერილობა, რქები, კარგი მხედველობა, სმენა, ხშირად ჯგუფებად ცხოვრობენ და მტაცებლისგან თავს ერთად იცავენ.

ბოლოს აღვნიშნავთ, რომ მტაცებლობის შედეგად არ ხდება მათი მსხვერპლის სრული განადგურება, რადგანაც, მტა-

ცებელი უპირატესად სუსტ და ავადმყოფ ცხოველს იჭერს, რაც, თავის მხრივ, გარკვეულ დადებით ზეგავლენას ახდენს მსხვერპლის პოპულაციაზე. მოვუყვები მგლების და ირმების მაგალითს, თუ რა გამოიწვია მგლების განადგურებამ ერთ-ერთ ეკოსისტემაში (2 ნთ.).

პარაზიტოზის განხილვისას მოსწავლეებს ვეტიყვი, რომ პარაზიტოზი თანაცხოვრების ისეთი ფორმაა, როდესაც ერთი ორგანიზმი მეორე ორგანიზმს საბინადრო გარემოდ იყენებს, იკვებება მის ხარჯზე, თუმცა არ იწვევს „პატრონის“ უეცარ სიკვდილს. მაგალითად, ღორის სოლიტერი ადამიანის ნაწლავებში ბინადრობს და ნახევრად მონელებული საკვებით იკვებება; ტილები და რწყილები კანის ზედაპირზე ბინადრობენ და პატრონი ორგანიზმის სისხლით იკვებებიან. პარაზიტი დიდ ზიანს აყენებს პატრონი ორგანიზმს და, საბოლოოდ, მის დაღუპვას იწვევს. პარაზიტები ყველა სამეფოს წარმომადგენლებში გვხვდება (2 ნთ.).

შემდეგ მოსწავლეებს ვთხოვ, მოიყვანონ პარაზიტოზის მაგალითები (2 ნთ.).

ბიოტური ფაქტორების განხილვისას მოსწავლეებს ვეტიყვი, რომ ყოველ მათგანს შეფარდებითი ხასიათი აქვს და არც ერთი მათგანი არ არის აბსოლუტური. ამ საკითხთან დაკავშირებით იმართება დისკუსია (2 ნთ.).

გაკვეთილის შეჯამების მიზნით, დაფაზე ვკიდებ ცხრილს, რომელსაც ფრონტალური კითხვების საშუალებით შევავსებთ.

ბიოტური ფაქტორები	მაგალითები	თანაცხოვრებისგან მიღებული სარგებელი ან ზიანი
სიმბიოზი		
კონკურენცია		
მტაცებლობა		
პარაზიტოზი		

(5 ნთ.)

გაკვეთილის დასასრულს მოსწავლეებს მივცემ საშინაო დავალებას. მათ, აგრეთვე, უნდა შეავსონ ლექსიკონი, ჩანერონ სიტყვები: სიმბიოზი, კონკურენცია, მტაცებლობა, პარაზიტოზი და მიუწერონ განმარტებები.

ნატა გიჭიაშვილი

ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი გაეროს ასოციაციის საერთაშორისო სკოლა


სახალისო ცდები ქიმიიდან „საიდუმლო წერილები“

„საიდუმლო წერილები“ მთელი სერია არსებობს. რამდენიმეს ამ სტატიამ გააცნობოთ.

სითბოთი გააფლავებული სიმათელი არსებობს წერილები, რომლებსაც მხოლოდ გათბობის შემდეგ წაიკითხავთ:

ა) სინჯარაში ნახევრამდე ჩაასხით წყალი. მინის წკირით კონცენტრირებული გოგირდმჟავიანი ბოთლიდან ფრთხილად ამოიღეთ ერთი წვეთი მჟავა და ჩაუშვით წყლიან სინჯარაში. იმავე წკირით მოურიეთ ხსნარს. მიღებული ხსნარით თეთრ სუფთა ქაღალდზე იმავე წკირით გააკეთეთ რაიმე წარწერა. გააშრეთ. ღუმელთან ან სპირტქურის ალთან მიტანის შემდეგ წარწერა გაშავდება და წერილს ადვილად წაიკითხავთ.

ამ ცდის მთელი ქიმიზმი იმაში მდგომარეობს, რომ გოგირდმჟავა წყალნაერთმედი ნივთიერებაა და ქაღალდის გათბობისას მისგან (ანუ ცელულოზისგან) შეიწოვს და თვითონ შეიერთებს წყალს. გაუწყლოებული ცელულოზა (ცარიელი ნახშირბადი დარჩება, რაც იგივე დანახშირებაა. ამიტომ ასოები შავად გამოჩნდება.



ბ) რევოლუციონერებს ხშირად გამოუყენებიათ ხახვის წვენი, რათა მათი წერილები პოლიციისათვის უცნობი დარჩენილიყო. ხახვის წვენი დაწერილი წერილის სახელის ალზე თუ გააცხელებთ (ან თუნდაც სანთებელათი), უფრო „ცარიელი“ ფარატინა ქაღალდი წერილად გადაიქცევა.

გ) არსებობს გამოკრებადი საიდუმლო წერილებიც, რომელზედაც რამდენჯერმე შეიძლება გამოჩნდეს და ისევე გაქრეს დაწერილი ტექსტი.

არსებობს ისეთი საღებავები (მელნები), რომელთა გამოყენებით საიდუმლო წერილი მუდმივად საიდუმლოდ დარჩება. მხოლოდ მაშინ გაამჟღავნებს თავს, როცა მის წაკითხ-

ვას დააპირებს ადრესატი. შემდეგ კი ისევ უჩინარი გახდება.

ყველაზე ცნობილი და საუკეთესო ასეთ მელნებს შორის არის კობალტის ქლორიდი ან ნიტრატი (კრისტალჰიდრატები). ამ მარილებს კრისტალები მუქი ყოვლისფერია, ხსნარი კი – ვარდისფერი. არ არის აუცილებელი კონცენტრირებული ხსნარის დამზადება. სრულიად საკმარისია ბაცი ვარდისფერი ხსნარის დამზადება, წერილის დაწერა თეთრ ქაღალდზე შეიძლება, მაგრამ უკეთესია ბაცი ვარდისფერი ქაღალდის გამოყენება. ასეთ ქაღალდზე წარწერა გაშრობის შემდეგ საერთოდ არ გამოჩნდება. საკმარისია ეს წერილი შეათბოთ სანთლის ალზე ან ღუმელთან, რომ ქაღალდზე ლამაზი ცისფერი წარწერა გაჩნდება.

კობალტის მარილზე არაფერი არ დაგიმატებიათ, მან კი ვერი მაინც შეიცვალა. საკმაოდ დამაინტრიგებელი მოვლენაა!

აი, რა ხდება ქიმიურად:

გახურებისას კრისტალზე დაკარგა თავისი კრისტალიზაციური წყალი. თითქოს უმნიშვნელო ცვლილება მოხდა შედგენილობაში, მაგრამ ზოგჯერ ესეც საკმარისია ნივთიერების ფიზიკური თვისებების შესაცვლელად.

ამაში დასარწმუნებლად ჩაატარეთ ასეთი ცდა: ფაიფურის როდინში გასრისეთ კობალტის რომელიმე მარილის რამდენიმე კრისტალი და მიღებული ნაზი ვარდისფერი ფხვნილი ჩაყარეთ სინჯარაში. სპირტქურის ალზე მისი გახურების შემდეგ შეამჩნევთ, რომ სინჯარის პირთან შიგნითა ზედაპირზე წყლის წვრილი წვეთები გაჩნდება, ხოლო ფხვნილი მშვენიერ ცისფერ შეფერილობას მიიღებს. სწორედ ამიტომ იყენებენ მხატვრები კობალტის საღებავებს, რომელთაც ლამაზი ცისფერი აქვთ. ამ საღებავებს ასეც უწოდებენ „კობალტის ლურჯი“. ეს უკანასკნელი დამუშავებულია ისე, რომ მდგრადია გახურებისა და დასველების მიმართ.

დ) ასეთივე ცდა შეგიძლიათ ჩაატაროთ ზურმუხტისფერ-მწვანე ნიკელის ქლორიდის კრისტალზეც. მისი ოდნავი გახურებით ფხვნილი ყვითელ ფერს მიიღებს. თუ ნიკელის ქლორიდის ოდნავ მწვანე ხსნარით მომწვანო ქაღალდზე დაწერთ საიდუმლო წერილს, იგი შეუმჩნეველი იქნება გაცხელებამდე. შეთბობით კი სწრაფად გამოჩნდება მკვეთრი წარწერა.

ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ, როგორც კი შეწყვეტთ გათბობას, როგორც ნიკელიანი, ასევე კობალტის მარილების ხსნარებით დაწერილი წერილები მალევე გაუფერულდება. რაც უფრო ნესტიანი იქნება ოთახი, მით უფრო სწრაფად გაუფერულდება წარწერა. თუ ნანერის გაქრობის დაჩქარება მოგიწდებათ, უნდა გადაატაროთ წერილი ცხელი წყლის ორთქლზე ან თქვენ თვითონ დააორთქლოთ ნანერს.


ნანერის ასეთი გაქრობა და კვლავ გამოჩენა, რამდენჯერაც გინდათ, იმდენჯერ შეგიძლიათ გაიმეოროთ.

ამ სტატიის პირველ ცდაში გოგირდმჟავის ჰიდროსოპიულობა ვახსენეთ. იქ გოგირდმჟავა განზავებული იყო და ცელულოზიდან მხოლოდ წყალი შეიერთა. დარჩენილი ნახშირბადმა შავი წარწერა დატოვა. მაგრამ, თუ ნახშირწყლებთან კონცენტრირებულ გოგირდმჟავას გამოიყენებთ, მაშინ დარჩენილი ნახშირიც (ან მისი დიდი ნაწილი) დაიჟანგება და CO2-ის (ნახშირორჟანგის) სახით გამოიყოფა. ამ საკითხის საბოლოოდ განსამტკიცებლად, დამატებით, კიდევ ასეთი ცდებიც ჩაატარეთ:

ა) შაქრის დანახშირება. 30 გ. შაქრის ფხვნილს (უფრო ეფექტურია შაქრის მტკერი) დაასხით 26 მლ კონცენტრირებული გოგირდმჟავა. მოურიეთ მინის წკირით. გამოიყოფა CO2 და SO2 აირები, რომლებიც ჭიქაში ქაფს წარმოქმნიან. ნარევი ჯერ შავდება, შემდეგ კი ჭიქიდან სვეტის სახით ამოინევა



ბ) სინჯარაში მოცულობის მეოთხედამდე, ჩაასხით კონცენტრირებული გოგირდმჟავა. შიგ ჩაყავით კანგაცილილი (ე.ი. თეთრი) ჯოხი. იგი სულ მალე გაშავდება. ცელულოზა დანახშირდა.



გ) ქაღალდისგან დახვეული „ჯოხი“ ჩაყავით კონცენტრირებულ H2SO4-ში. ცოტა ხნის შემდეგ მჟავაში ჩაძირული ქაღალდის ნაწილი გაშავდება და ხსნარი აქაფდება.

ეს ცდები პედაგოგებს საშუალებას მოგცემთ მოსწავლეებს კარგად დაამახსოვროთ, რომ კონცენტრირებული გოგირდმჟავა ძალიან ძლიერი დამჟანგავი ნივთიერებაა და მასთან მუშაობისას უსაფრთხოების ყველა წესის დაცვაა საჭირო.

მოსწავლეების სამუშაო მაგიდებზე კონცენტრირებული გოგირდმჟავა ყოველთვის ძალიან პატარა ჭურჭლი უნდა იდგეს. იმედია, გაითვალისწინებთ ჩემს რჩევებს. გისურვებთ წარმატებებს.

მარიამ სურგულაძე

ალბიონელთა ფიქრი სამშობლოზე

სენაკის მრავალპროფილიან კერძო სკოლა „ალბიონის“ (დირექტორი – **ლიუდმილა ჭანტურია**) სასწავლო და კლასგარეშე საქმიანობას რომ გავეცანი, სასიკადალო პოეტები – მირზა გელოვანი, გიორგი ნაფეტვარიძე და ომის მონაწილე სხვა პატრიოტები გამახსენდა, ვინც, წინაპართა მეომრულ მაგალითებზე აღზრდილი, მამულის სადარაჯოზე დადგნენ.

ყოველი ერის სიდიადე მისი გმირების რაოდენობითაც იზომება. საქართველო თავდადებულ ვაჟკაცთა ნამდვილი სავანაა.

სწორედ ომგადახდილი ვაჟკაცების შემოქმედებაში იგრძნობა სამშობლოს სიყვარულის სიმძაფრე. როცა ქვეყნისთვის თავდადებაზე ფიქრობ, უნებლიედ ცოტნი, დემეტრე, თედორე მღვდელი, ჟიული შარტავა და სხვები გვახსენდება და ვფიქრობთ, რომ სწორედ მათ კვალზე, მათ მაგალითზე უნდა აღიზარდონ ახალგაზრდები.

ეს მიზანი ჰქონდათ სკოლა „ალბიონის“, როცა ჩამოაყალიბეს სასკოლო ორგანიზაცია „საქართველოს პატრიოტი“.

„ჩვენ სამშობლოს სახელს ვფიცავთ, მის დიდებას ჩვენ დავიცავთ“ – ამ დევნილი იწყებს თითოეული კლასი პირველ გაკვეთილს. ცალკეულ პედაგოგთა საუბრები, თუნდაც მთავრობის მიერ ორგანიზებული „პატრიოტული ბანაკები“, არ არის საკმარისი სამშობლოს ერთგული თაობის აღსაზრდელად. მოსწავლეთა გმირული სულისკვეთებით ფორმირების საკითხი სკოლაში უნდა წყდებოდეს.

პატრიოტული აღზრდა თვითმმართველობის ფორმად კი არა, სკოლის ცხოვრების აუცილებელ



შემადგენელ ნაწილად უნდა მოიაზრებოდეს. ამ შეხედულების გათვალისწინებით, სკოლა „ალბიონის“ შემუშავდა ორგანიზაციაში „საქართველოს პატრიოტი“ შემსვლელთა ფიცის ტექსტი, რომელიც გულდასმით იქნა მოფიქრებული, ჩვენი ქვეყნის ეროვნული და რელიგიური თავისებურებების გათვალისწინებით.

ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტი იყო მოსწავლეთა მიერ სამშობლოს ერთგულების ფიცის მიღების ცერემონიალის ჩატარება, რომელიც საქართველოს ეროვნული გმირის – ჟიული შარტავის ძეგლთან მოეწყო. მოსწავლეებმა, რაიონის მონინავე ადამიანების თანდას-

წრებით, წარმოთქვეს ფიცის სიტყვები, წაიკითხეს ლექსები, ღონისძიება დასრულდა სამღვდლოების ლოცვა-კურთხევით.

ფიცის მიღების შემდგომ მოსწავლეებმა აირჩიეს: სპიკერი და ვიცე-სპიკერი. შეარჩიეს საერთო სასკოლო დევიზი. თითოეულ კლასს საკუთარი დევიზი აქვს გამოკრული თვალსაჩინო ადგილზე. შემუშავებულია ჰიმნი, რომლის ტექსტი ასე იწყება: „ჩვენ ვართ პატრიოტები, საქართველოს შვილები და ქვეყანას ვებრძობით, მომავალი გმირები“.

სკოლაში სისტემატურად ტარდება სხვადასხვა სახის ღონისძიებები: ექსკურსიები საქართველოს

ისტორიულ ადგილებში (ციხე-გოჯი, გელათი, მცხეთა, ჭყონდიდი და სხვ.); შეხვედრები ომის მონაწილეებთან; მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულნი საზოგადოებრივ საქმიანობაში. აღსანიშნავია, რომ სპიკერის მიერ მოწმდება სასწავლო ნივთები, დღიური, მოსწავლეთა ფორმით დაწერილია და ეფექტურად ფუნქციონირებს რეიტინგული სწავლების მეთოდი, რომელიც ხელს უწყობს ცოდნის დონის ამაღლებას, მოსწავლეთა დაინტერესებას საგნის საფუძვლიანი სწავლით.

შემუშავებულია ისეთი დღიური, რომელიც საშუალებას იძლევა, პე-

დაგოგთან ერთად მშობელიც აქტიურად ჩაერთოს შვილის აღზრდის საქმეში. მშობლები ვალდებული ხდებიან, ყოველდღიურად გააკონტროლონ დავალების შესრულება და ხელის მონერით დაადასტურონ ყოველივე, რეაგირება მოახდინონ პედაგოგის მიერ დღიურში ჩანერი შენიშვნებზე.

სკოლაში პატრიოტული ორგანიზაციის არსებობა სახელმწიფოსგან მატერიალურ დახმარებას არ მოითხოვს – შენარჩუნებულია ორგანიზაციის თანამდებობა, ისინი ხელმძღვანელებენ ამ საქმეს. მცირერიცხოვან სკოლებში კი შესაძლებელია ეს კეთილმოხილური საქმე ისეთ პიროვნებას მიენდოს, რომელსაც ხელნივთება მოსწავლეებთან ურთიერთობა.

ალბიონელთა ნამოყვებას რომ სხვა სკოლებშიც გასჩენოდა მოხრეები, წერილობით მივმართეთ ზემდგომ ორგანოებს, მათ შორის განათლების სამინისტროს, მაგრამ ინიციატივას მხარდაჭერა არ მოჰყვა იმ საბაბით, რომ მათ არ აქვთ უფლება, თავს მოახვიონ სკოლას თვითმმართველობის რაიმე ფორმა.

ფიქრობთ, სურვილის შემთხვევაში, მსგავსი ორგანიზაციების შექმნა რთული არ იქნება და მუშაობის გონივრულად წარმართვა უთუოდ შეუწყობს ხელს ჩვენი ახალგაზრდობის პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდას.

შორის დავითია

აკაკი წერეთლის სახელობის პრემიის ლაურეატი

ვალერიან პაჭკორია

სკოლა „ალბიონის“ სასწავლო ნაწილის ხელმძღვანელი

პროფესიონალთა კლასი

ომგადახდილი პედაგოგი



ომისა და შრომის ვეტერანს, ღვაწლმოსილ პედაგოგსა და განათლების დარგის უნარიან ორგანიზატორს, უმაღლესი სკოლის დამსახურებულ მუშაკს, სამაშალო ომის ვეტერანს და ღირსების ორდენების კავალერ **ვლადიმერ მოქერიას** 90 წელი შეუსრულდა.

ჩოხატაურის რაიონის სოფელ საჭამიასერის შრომისმოყვარე, მრავალპროფილიანი ოჯახის შვილმართული და საინტერესო ცხოვრების გზა განვლო. დაამთავრა მშობლიური სოფლის საშუალო სკოლა. 1939 წელს გაინვიეს არმიამი. სწავლობდა ოსტროგორსკის სამეთაურო სკოლაში. სამი თვე აკლდა დემობილიზაციას, როცა ომი დაიწყო. პირველი საბრძოლო ნათლობა სმოლენსკის მიმართულებით სოფელ მახაროვის მისადგომებთან მიიღო. „მე პირადად, – ამბობს ბატონი ვლადიმერი, – ჩემს ასეულთან ერთად მომიხდა ხელწართულ ბრძოლაში ჩაბმა. სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში სასწაულად გადავრჩი. ჩვენი ლეგიონი ლენინგრადის მიმართულებით გადაისროლეს“. ნანლი, რომელშიც მოქერია იბრძოდა ლადოგის ტბასთან განლაგდა. გერმანელებმა ალყაში მოაქციეს მეომრები. „ლადოგის ტბის გა-

ყინვამ გვიხსნა, – აღნიშნავს ომგადახდილი ვეტერანი, – ჩვენმა ნაწილმა შეძლო ალყიდან გამოსვლა. ბრძოლაში ჩავებით ტიხვინის ფრონტზე“. სისხლისმღვრელ ბრძოლაში გამოჩენილი გამჭრიახობის და მამაცობისათვის ოცეულის მეთაური ჯილდოზე წარადგინეს, რომელიც მოგვიანებით მიიღო.

ომის ცეცხლოვანი გზის დასრულებამდე ჯერ კიდევ შორს იყო. საჭამიასერელი ჭაბუკი, ახლა უკვე ასამეთაური, თანამებრძოლებთან ერთად, ვაჟკაცურად მიუყვებოდა ცეცხლოვან ბილიკებს. „1942 წელს გააფთრებული ბრძოლები გაჩაღდა ტიხვინისათვის, – მოგვითხრობს იგი, – არავის და არაფერს არ ინდობდა ვერად მტერი“. ამ სისხლისმღვრელი ბრძოლების დროს მარჯვენა ხელში მძიმედ დაიჭრა ასამეთაური. ექიმებმა ყოველი ღონე იხმარეს, მაგრამ ჭრილობა მძიმე აღმოჩნდა. იგი ჯარისკაცებს გამოეთიშა და მშობლიურ კერას დაუბრუნდა. მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობებზე. 1952 წელს ჩაირიცხა ბათუმის სახელმწიფო ინსტიტუტში. აქაც აირჩიეს ინსტიტუტის პროფკომიტეტის თავმჯდომარედ. მან დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა შორის.

1961 წელს ბატონი ვლადიმერი ინსტიტუტის სასწავლო ნაწილის უფროსად დაინიშნა. იგი შემოქმედებითად მუშაობდა ახალ საქმეს და სასწავლო პროცესში არაერთი სიახლე დანერგა. ყველაფერს აკეთებდა ინსტიტუტის სასწავლო-სამეცნიერო პროცესის რაციონალურად წარმართვისა და მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის. მრავალთა შორის შეიძლება დავასახელოთ მის მიერ მოსკოვში, კურსებზე ყოფნის დროს, შექმნილი ღონისძიების კაბინეტი, რომელიც დღესაც ემსახურება სტუდენტთა სწავ-

ლა-აღზრდას და უადვილებს მათ უცხო ენის დაუფლებას.

ბატონმა ვლადიმერმა შეიმუშავა სემესტრული ცხრილის ფორმა, რომელიც მოიწონა საქართველოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ და დაინერგა უმაღლეს სასწავლებლებში.

წლების განმავლობაში ვლადიმერ მოქერია ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა ინსტიტუტის საღამოსა და დაუსწრებელი სწავლების, მასწავლებელთა დახელოვნების კურსების განხორციელების სამოქალაქო თავდაცვის შტაბის უფროსის თანამდებობებზე, ხელმძღვანელობდა სამხედრო-პატრიოტული აღზრდის კომისიას, აწყობდა შეხვედრებს ომისა და შრომის ვეტერანებთან, აქტიურად მონაწილეობდა ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მუშაობაში. „ბატონი ვლადიმერი დიდი სამამულო ომის მონაწილეც არის, – წერს პროფესორი **ანზორ დიასამიძე**, – ეტყობა ამანაც იქონია გავლენა, რომ მისგან ჩამოყალიბებულიყო ჭეშმარიტი მებრძოლი, მინდობილი საქმისადმი, თავდადებული, უკანონობისა და დაუმსახურებელი პირადი სარგებლობისადმი შეურიგებელი, უმაღლესი განათლების ნამდვილი პროფესიონალი, შრომაში თავდაუზოგავი, საქმით დაუღლელი და საჭირო დროს სათანადოდ გულისხმიერი კაცი“.

სწორედ მაღალი პროფესიული დონითა და საქმიანადი ობიექტური, პრინციპული მიდგომით იყო განპირობებული ის ფაქტი, რომ ვლადიმერ მოქერია ხშირად ჰყავდათ ჩართული სამინისტროს მიერ მოწყობილ საქართველოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების კომპლექსურ შემონახვაში. იგი ქმედით დახმარებას უწევდა სასწავლებლების ხელმძღვანელებს სასწავლო-სამეცნიერო და აღმზრდელი პროცესის

სწორად დაგეგმვასა და ორგანიზაციაში.

1972 წელს სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ შეისწავლა ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის მუშაობა. კომისიამ მაღალი შეფასება მისცა სასწავლო პროცესის ორგანიზაციასა და მის ხელმძღვანელობას. თავად ბატონ ვლადიმერს როგორც მეტად გამოცდილ მუშაკს, სთხოვეს მონაწილეობა მიეღო შუა ზონის რესპუბლიკების უმაღლესი სასწავლებლების შემონახვაში. მოქერია ვერ შეძლო ამ კომისიის მუშაობაში მონაწილეობის მიღება, თუმცა კომისიამ ბევრი რამ გაიზიარა მისი მუშაობიდან.

ბატონ ვლადიმერს საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა საქართველოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრებთან, მათ მოადგილეებთან, სამმართველოს უფროსებთან და სხვებთან. მას პატივს სცემდნენ არა მარტო როგორც მაღალი პასუხისმგებლობის მქონე, თავისი საქმის საუკეთესო მცოდნესა და ენთუზიასტ მუშაკს, არამედ როგორც თავმდაბალ და გულისხმიერ ადამიანს. „მოგვხვდები და გკოცნი ჩემო ვლადიმერ, მარტო იმისათვის კი არა, რომ ჩვენ განუყრელი მეგობრები ვართ, იმიტომ უფრო, რომ კარგად აღზრდილი ადამიანი ხარ, აი ისეთი, როგორებიც წინათ კარგ ოჯახებში იზრდებოდნენ: ნესიერი, პატროსანი, ჰუმანური, კეთილშობილი, სხვა ადამიანებზე მუდამ მზრუნველი“, – წერდა ვ. მოქერიას პროფესორი **სიმონ შათაშვილი**.

1988 წლიდან ვლადიმერ სამუშაოდ გადავიდა აჭარის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტში, სადაც ჩვეული ენერგიითა და სიყვარულით ემსახურებოდა ინსტიტუტის მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებასა და პროფესიულ დაოსტატებას.

ნიგინერი პიროვნებაა ბატონი

ვლადიმერი. ნიგნებისადმი სიყვარულს მისი მეტად მდიდარი ბიბლიოთეკაც ადასტურებს. სამასზე მეტი ნიგნი გამოჩენილი მეცნიერების, ცნობილი ადამიანების ავტოგრაფებითაა მიძღვნილი. მის მრავალწლიან ცხოვრების გზაზე მარტო წარმატებები და სიხარული როდი იყო. იმედის გაცრუება, საყვარელ ადამიანებთან, მეგობრებთან, თანამებრძოლებთან განმარების დარდი და ტკივილიც მისი ცხოვრების თანამგზავრია. ყველაზე დიდი და გაუყუჩებელი ტკივილი კი, მეუღლის – **ნინა ძნელაძის** დაკარგვა იყო. უბედურებას აძლიერებს ის ფაქტიც, რომ სამიოდ წლის წინ, თბილისში, რუს-პუბლიკურ საავადმყოფოში კატაპულტის ოპერაციის დროს მას თვალის ჩინი მთლიანად დაეკარგა. იგი ახლა ავადმყოფი ქალიშვილის და ახლობელი ადამიანების, კეთილი მეზობლების აშარადა დაწარჩილი. თანამდგომი, ხელის შემშველებელი ადამიანები, ალბათ, გამოჩნდებიან და გარკვეულად შეუმსუბუქებენ ეკონომიკურ მდგომარეობას.

მძიმე პირობების მიუხედავად, ბატონი ვლადიმერი კვლავ ქვეყნის ცხოვრებით ცხოვრობს. პირადულზე მეტად ქვეყნის სატკივარი სტკივა. არავის უსურვებს ომის ცეცხლოვანი გზებით სიარულს. დაე, სულ მუდამ მშვიდობიან პირობებში ეშრომოს და ელვანოთ ჩვენს მომავალ თაობებს. ასეთია ამაგდარი ვეტერანის, ვლადიმერ მოქერიას ნატვრა და ოცნება, კაცის, რომელმაც არაერთხელ ჩაახდა სიკვდილის თვალებში და მაინც ცოცხალი დაუბრუნდა მშობლიურ ოჯახს და ახლობლებს.

ღვაწლმოსილ ადამიანს ვულოცავთ დაბადებიდან 90-წლისთავს, ღმერთმა აუხდინოს მას ნატვრა და ოცნებები.

აკაკი ზოიძე

საქართველოს იაკობ გოგებაშვილის პედაგოგთა

რუსებს ყველაფერში აჯობებს

საქართველოს 21-წლამდე მორაგბეთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატზე მეორე ადგილი დაიკავა, თუმცა იმას, თუ როგორ დაკარგეს ჩემპიონობა, სასწაული შეიძლება ეწოდოს. ფინალში ჩვენები რუმინელებს 17:0 უგებდნენ, მაგრამ მოახერხეს და 20:27 წააგეს. როგორ და რატომ მოხდა ასე, ახსნა მწვრთნელებსაც უჭირთ. არადა, ძლევამოსილად ჩატარებული პირველი ნახევრის შემდეგ ასეთი დასასრული ძნელი წარმოსადგენი გახლდათ.




დის სტადიონ „უნივერსიდადზე“ გამართული შეხვედრაც ამ ტრადიციის ზუსტი ალი-კვალი გამოდგა – ამჯერადაც იყო გუნდური ჩხუბი, რომელიც ისევ ქართველების წარმატებით დასრულდა და მატჩიც კვლავ მათ მოიგეს – 33:12.

თუმცა ჩვენებისთვის უპრინციპულესი შეხვედრა რუსებთან გამართული ნახევარფინალი გამოდგა. პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე და სპორტის სხვა სახეობებისგან განსხვავებით, ქართულ-რუსული სარაგბო დაპირისპირება, ნებისმიერ ასაკში, უაღრესად დაძაბული და ნამდვილი ომია, როცა მეტოქეები ერთმანეთს არც თამაშში ინდობენ და არც – ჩხუბში. თუმცა ეს შერკინებები, ორივე ასპექტში, ქართველთა გამარჯვებით მთავრდება და გიორგობას, მაღრი-

რუსა ჩვენები 22:7 იგებდნენ. ამ დროს მეტოქემ ერთ-ერთი ქართველი მოედნის ხაზის იქით გაიყვანა, რაშიც მიუღებელი არაფერია, მაგრამ ამას არ დასჯერდა და ნაქცევის მიზნით ხელიც ჰკრა. ჩხუბიც ამან გამოიწვია, რაშიც რუსთა სათადარიგოებიც ჩაერივნენ, ჩვენი სამარქაფოები კი სკამიდან არც წამომდგარან, რადგან ამის საჭიროება არ იყო – მინდორზე მყოფმა ქართველებმა რუსთა მთელი გუნდი სცემეს. ამ ინციდენტმა რუსებზე კიდევ უფრო ცუდად იმოქმედა, ჩვენები კი, პირიქით – გაახელა და ანგარიშში სხვაობა გაზარდეს. საწყენია, რუმინელებთან ლამის მოგებული შეხვედრა რომ დათმეს და ჩემპიონის გვირგვინი მეტოქეს გაატანეს.

ლაშა ლულელაურის რეკორდი



ახმეტელმა მძლეოსანმა **ლაშა ლულელაურმა** სამხტომში საქართველოს ახალი რეკორდი დაამყარა – ამ უქმეებზე „დინამოზე“ გამართულ თბილისის ღია პირველობაზე 14,92-ზე გადახტა და მეტოქეები საგრძნობლად ჩამოიტოვა. აღსანიშნავია, რომ ქვეყნის წინა რეკორდიც მას ეკუთვნოდა, თუმცა ახლანდელი საგრძნობლად მეტია.

ახალგაზრდებმაც გამოიჩინეს. განსაკუთრებით აღსანიშნავია 16 წლის ფოთელი **ლიკა ლოლუა**, რომელმაც 100 მ-ზე და 200 მ-ზე სირბილში გაიმარჯვა. ლულელაური და ლოლუა, გაისად, სინგაპურში გამართი ახალგაზრდობის I მსოფლიო ფესტივალისთვის ემზადებიან, სადაც, ამჟამინდელი შედეგებიდან გამომდინარე, არც მოხვედრა უნდა გაუჭირდეთ და არც – წარმატებით გამოსვლა.

ლულელაურმა სიგრძეზეც საკმაოდ წარმატებით იხტუნავა – 6,98-ზე გადახტა, თუმცა ეს მხოლოდ მეორე შედეგი აღმოჩნდა. მაგრამ ისიც სათქმელია, რომ მას ასაკით ბევრად უფროსმა კონკურენტმა გაუსწრო. საერთოდ, ეს ტურნირი სწორედ უფროსებში ტარდებოდა, 14 წლის ლულელაურს კი იქ გამოსვლა არც უნებდა, მაგრამ, როგორც გამორჩეულად ნიჭიერი, გამოწვევის წესით, დაუშვეს და მანაც იმედევი გაამართლა. მთელი ტურნირი, ყველა ცდა ძალზე სტაბილურად ჩატარდა და სავსებით კანონზომიერად მოიპოვა ეს წარმატებები, მედლები, მაგრამ ამასობაში ერთი ცუდი ამბავიც გაიჩნდა – სწორედ ასაკის გამო, მას ზაფხულში გასამართ ახალგაზრდების მსოფლიო პირველობაზე გამოსვლის ნება არ დართეს.

ასევე კარგად გამოვიდა 14 წლის თბილისელი **სოფო ჩალაშვილი**, რომელიც 100 მეტრზე სირბილში მესამე ადგილზე გავიდა, 200-ზე კი ვერცხლი მოიპოვა. ორი ვერცხლი ირგუნა მისივე თანატოლმა, ბორჯომელმა **თინათინ პაპუაშვილმა** – 400 მ-ზე და 800 მ-ზე სირბილში. ვაჟებიდან აღსანიშნავია ახალციხელი **ანდრანიკ მატინიანის** კარგი გამოსვლა – ბრინჯაო 1500-ზე, ჩხორონწყული **ბაჩანა ხორავას** ვერცხლი 100 მეტრზე სირბილში და ზუგდიდელი **დენის ჟვანიას** მეორე ადგილი 100-მეტრიან დისტანციაზე. ამჯერად მედლები ვერ მოიპოვეს, მაგრამ სპეციალისტთა ყურადღება მაინც დაიმსახურეს ოზურგეთელმა **ნიკოლოზ კარტავეცემ** და ქუთაისელმა **ბექა ჯიშკარიანმა**.

ანა ტატიშვილის წყვილი მოგება

19 წლის **ანა ტატიშვილი** წარმატებით ჩაება ფრანგულ სენ გოდენში, 50-ათასდოლარიან ტურნირში. ერთეულთა ტურნირის პირველ შეხვედრაში ანამ ბრიტანელი **ჯორჯ სტუბი** დაძაბულ ბრძოლაში 7:6; 7:5 დაჯაბნა, მერე კი წყვილებში კანადელ **ფინანთან** დუეტში ლუქსემბურგელი **მინელა** და ფრანგი **პერმანტიე** დაამარცხა. ამ დღეებში ანტალიაში **ანა ჯიქია** ასპარეზობს და სანყისი შეხვედრა იმანაც მოიგო * ებრაელი **ბენ ჰაიმი** ორ სეტში დაამარცხა.



58-ე სკოლამ იმარჯვა

თანდათან ძალას იკრებს საქართველოს სკოლების პირველობა, რომელიც ჯერ რეგიონული პრინციპით ტარდებოდა. თბილისის ნონა გაფრინდაშვილის სახელობის ქაღარაკის სასახლეში დამთავრდა დედაქალაქის პირველობა, რომელშიც 13 ქულით 58-ე სკოლის გუნდმა გაიმარჯვა. რეგლამენტით, ყოველ გუნდში სამი ვაჟი და ერთი გოგონა გამოდის, მაგრამ ამ გუნდში გოგონები დომინირებენ – **სალომე ხაყოშია**, **ალეკო მერეზაშვილი**, **ელისაბედ ზარქუა** და **ანუკი ხაყოშია**, მწვრთნელი კი **პაატა ვაშაქიძე** გახლდათ. მეორე ად-

გილზე, 12 ქულით, 25-ე სკოლები გავიდნენ (**სოფიკო გურამიშვილი**, **გიორგი ქერაშვილი**, **რევაზ ჭყუასელი**, **სალომე სირაძე**), მესამეზე – 147-ე სკოლა, 11 ქულით (**გიორგი ლომიძე**, **ილია ზუმბულიძე**, **გიორგი ქანთარია**, **ანა ჭავჭავაძე**). ოქტომბერში, ისევ ამავე სასახლეში გასამართ ფინალურ ეტაპზე გამოსვლის უფლება 58-ე სკოლის გუნდმა მოიპოვა.

ამ დღეებში ანალოგიური ტურნირი ფოთში მიმდინარეობს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის სკოლებისთვის, რომელშიც 19 გუნდი ჩაება.

ახალგაზრდა რუსთაველთა წარმატება

რუსთაველმა კალათბურთელებმა, ბოლო ექვს წელიწადში, მესუთედ მოიგეს 20-წლამდელთა პირველობა. ფინალში მათი მეტოქე თბილისის „აკადემია“ გახლდათ, რომელსაც ჯერ მშობლიურ ქალაქში მოუგეს – 85:65, მერე კი თბილისშიც დაამარცხეს ძალზე დაძაბულ შეხვედრაში – 79:74. განმეორებითი მატჩისთვის აკადემიელებმა აგრარული უნივერსიტეტიდან **გიგი ბარბაქაძე** დაიმატეს და დიდხანს იგებდნენ კიდევ, მაგრამ რუსთაველთა ლიდერებმა – **აკაკი დვალიშვილი**, **მალხაზ აბაიშვილი**, **ზურაბ მაჭავარიანი** და **ლევან ხმელიძე** 14-ქულიანი ჩამორჩენა გააბათილეს, ხოლო დამამთავრებელ ეტაპზე მეტოქეზე გადამწყვეტი იერიში **ზურაბ თვარაძემ** მიიტანა. რუსთაველთა გამარჯვება სწორედ მისმა სამქულიანებმა განაპირობა.



რუბრიკას უძღვება ირაკლი თაყაიძე

<p>მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი</p>	<p>მისამართი: ტაბატაშვილის №3 ტელ.: 95-80-23, 890 958023, 855 411668, 855 178027.</p> <p>E-mail: axaliganatleba@gmail.com, ganatleba@mail.ru</p>	<p>რედაქციის რეკვიზიტები: საპარტოპელო ბანკი ზ/კ 220101502, ს/კ 202058735, ა/ა 123631000</p>
	<p>რეგისტრაციის № 2/4-1609, ინფორმაციის ხელმოწერისთვის: 76096</p> <p>გაზეთი რეგისტრირებულია დიდუბის რაიონის სასამართლოს მიერ.</p>	<p>რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უპრუნდებათ.</p>